შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **ირაკლი ჩიტიძე**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი გივი ლობჟანიძე

თბილისი

2021

შინაარსი

ანოტაცია----------3

Annotation----------4

შესავალი----------6

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა ----------8

თავი II. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა----------9

2.1 ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება----------9

თავი III. ორგანიზებული დანაშაულობის ნიშნები----------23

3.1.ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება და კონტროლის განხორციელების ასპექტები----------30

3.2. პასუხისმგებლობა ორგანიზებული დანაშაულისათვის ----------35

3.3. გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზებულ დანაშაულზე------46

თავი IV. კვლევის შედეგები ----------50

დასკვნა ----------51

გამოყენებული ლიტერატურა ----------54

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის შედარებით–სამართლებრივი ანალიზი. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ კონტექსტში, ეროვნულთან ერთად განხილულია ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა ერთ-ერთი მძიმე დანაშაულია დანაშაულებრივ სივრცეში. ბევრი მექანიზმის გამოყენების მიუხედავად ზოგიერთი ქვეყნის მიღწევა ამ დანაშაულის მიმართ მაინც სუსტად გამოიყურება. მოცემულ ნაშრომში ნაჩვენებია ის გზები, თუ რითი უნდა ებრძოლოს ჩვენი სახელმწიფო აღნიშნულ დანაშაულს. ორგანიზებული დანაშაულობის საქართველოში მატება ნიშნავს ჩვენი ქვეყნის, რამდენიმე წლით უკან წარსულში დაბრუნებას. იმ წარსულში, რომლის გახსენებაც არავის სურს. როდესაც კორუფცია გაბატონებული იყო ასევე სამართალდამცავი ორგანოები ღირსეულად ვერ იცავდნენ მასზე დაკისრებულ მოვალეობას,მეტიც დანაშულს თავადვე ჩადიოდნენ. ორგანიზებული დანაშაულობის ჩადენის რიცხვებმა მართლაც საგანგაშო ნიშნულს მიაღწია. დამნაშავეთა არარეგულირებადი შემოსავლების რიცხვი კი ხშირ შემთხვევაში რამდენიმე მილიონობით დოლარზე ადის. ყველაზე მეტად საშიში ის არის, რომ კონკრეტულ დამნაშავეთა ჯგუფები ჩადიან მცირე დანაშაულებს სახელმწიფოებში, თავდაპირველად ისინი თვალში არ ეჩხირებიან სამართალდამცავებს, ამ დროს შეისწავლიან სახელმწიფოს და ამის შემდგომ გადიან შემდეგ ნაბიჯებს. ამიტომ სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას მსგავსი დანაშაულები. დანაშული მყისიერად უნდა იყვეს აღკვეთილი, რათა დამნაშვეებს არ მიეცეთ შესაძლებლობა, რომ შემდეგ მსხვერპლად ჩვენი ქვეყანა აირჩიონ. მოცემულ ნაშრომში მკაფიოდ ჩანს ის მიღწევები რაც საქართველომ გაატარა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრი რამ დარჩა სწორედ ამის ჩვენება მსურს ამ ნაშრომით. ნაშრომში მოცემულია ორგანიზებული დანაშაულობის ის ასპექტები, რასაც ეს დანაშაული იწვევს. ნარკოტიკებით ვაჭრობა, კორუფცია, იარაღის გაყიდვა, ადამიანის ორგანოების გაყიდვა, ეს ის მოკლე ჩამონათვალია, რომელსაც იწვევს ეს დანაშული. ამიტომ გათვალისწინებული უნდა იყოს ის მექანიზმები რომელიც ნაშრომშია მოცემული. ანუ ის სამართალდამცავი ორგანოების ხშირი გადამზადება, საერთაშორისო მიღწევების გათვალისწინება და პერსონალის მუდმივი ტრენინგი, სკოლის აღსაზრდელებთან ხშირი კომუნიკაცია, რომ ისინი დაცული იყვნენ დანაშულში გარევისგან. შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა ძალოვანი სტრუქტურების ერთობლივი მუშაობით, საერთაშორისო ხელშეკრულებების მითითებების და რეკომენდაციების გათვალისწინება დაგვიცავს დანაშულებრივი სამყაროსგან. ძლიერი სამართალდამცავი ძლიერი

ქვეყნის საწინდარია ამიტომ ყველაფერი უნდა გავიღოთ საზოგადოებამ და სახელმწიფომ. მხოლოდ სახელმწიფო საზოგადოების გარეშე ვერაფერ შექმნის. საზოგადოება უნდა დაეხმაროს მას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით თავიდან აცილებული იქნება ეს დანაშაული ჩვენს სახელმწიფოში. ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

This work discusses the comparative legal analysis of transnational organized crime. Therefore, in this context, the legislation and practice of European and common law countries are discussed together with the national one. Transnational organized crime is one of the gravest crimes. In the criminal world. Despite the use of many mechanisms The achievement of some countries towards this crime still looks weak. This paper shows the ways in which ours should be fought The state committed the crime. The increase in organized crime in Georgia means ours. The country, a few years back to the past. In the past of which Nobody wants to remember either. When corruption prevailed as well Law enforcement could not properly defend the charges against him Duty, moreover, they committed the crime themselves. The numbers of organized crime are really alarming Reached the mark. Even the number of unregulated incomes of offenders It often goes up to several million dollars. most of all Dangerous is that specific criminal groups commit minor crimes in the states, at first they do not catch the eye of law enforcement, this time They will study the state and then take the following steps. Therefore The state should not allow such crimes. Offense instantly Should be prevented so that offenders are not given the opportunity to do so Then choose our country as a victim. This paper clearly shows the achievements that Georgia has made In the fight against crime. But there is still much to be done That is exactly what I want to show in this paper. The paper presents the aspects of organized crime that It causes crime. Drugs trade, corruption, arms sales, Selling human organs, this is the short list that leads to it Crime. Therefore, the mechanisms that Given in the paper. That is, it is frequent in law enforcement agencies Retraining, taking into account international achievements and staffing Constant training, frequent communication with schoolchildren that they They were protected from crime. Ministry of Internal Affairs and others By joint work of law enforcement agencies, international Follow the instructions and recommendations of the contracts Will protect us from the criminal world. Strong law enforcement strong It is a prerequisite for the country so we have to take everything from society and The state. Without a state society alone it can create nothing. The community should help him. With all of this in mind from the beginning This crime will be avoided in our state. The paper includes an annotation, table of contents, introduction, main topic (divided into chapters and subsections), conclusion and a list of used literature.

შესავალი

თემის აქტუალობა. აღიარებულია, რომ ორგანიზებული დანაშაულობა კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საშიში სახეობაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებზე. იგი ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხეს წამოადგენს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისათვის, რასაც ხელს უწყობს სატრანსპორტო და საინფორმაციო კომუნიკაციების განვითარება, კაპიტალის გამარტივებული მოძრაობა, სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობა, შრომითი მიგრაციის ზრდა და გლობალიზაციასთან დაკავშირებული სხვა პროცესები. თანამედროვე სამყაროში ორგანიზებული დანაშაულობა სულ უფრო და უფრო ტრანსნაციონალურ ხასიათს იღებს, კერძოდ, სხვადასხვა კრიმინალური გაერთიანების საქმიანობის სფეროები სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებს. გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გლობალურმა ეკონომიკამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ორგანიზებული დანაშაულობის შემდგომი განვითარებისათვის. საერთაშორისო ვაჭრობის, ფინანსირების, კომუნიკაციების და გადაადგილების უპრეცედენტო გამარტივებამ, ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის ზრდასთან ერთად, კრიმინალებს უამრავი შესაძლებლობა მისცა უკანონო ბიზნესის საწარმოებლად. მარტივად რომ ითქვას, უკანონო საქონელი შეიძლება დამზადდეს ერთ კონტინენტზე და მეორის გავლით გავრცელდეს მესამეზე. ამ სფეროსთან დაკავშირებული ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, ამჟამად ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაა, რადგან ამ ტიპის კრიმინალის გლობალური მასშტაბების გათვალისწინებით, ცალკეული ქვეყნის მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისი და არაეფექტურია. ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში აქტიურადაა ჩართული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით განსკუთრებულ როლს ასრულებს საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლი. მას მონაცემთა დიდი ბაზა გააჩნია და ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, პროცესების ანალიზის ძირითადი ორგანოა. ინტერპოლი ახორციელებს ორგანიზებული დანაშაულობის გლობალურ მონიტორინგს და კოორდინაციას უწევს საერთაშორისო გამოძიებას. ამ სახის კრიმინალთან მიმართებით ინტერპოლის ფუნქცია წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის წარმართვა, ამ სფეროში მოქმედი ყველა - ეროვნულ თუ საერთაშორისო უწყებას შორის ორგანიზებული დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული კორუფციის შესახებ ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფაა. რაც შეეხება მეორე, მნიშვნელოვან პოლიციურ ორგანიზაციას - ევროპოლს, მისი შექმნის ძირითადი მიზანი, სწორედაც, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაა.

ბრძოლის ასეთი მასშტაბების მიუხედავად, ორგანიზებული დანაშაულის ფენომენი არასაკმარისადაა შესწავლილი. საკმაოდ მწირია ინფორმაცია ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ბაზრებსა და ტრენდებზე. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხსენებულ საკითხზე განხორციელებული კვლევების უმრავლესობა ფოკუსირებულია ერთ კონკრეტულ ქვეყანასა თუ გეოგრაფიულ ერთეულზე და არ ასახავს გლობალურ სურათს. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, ორგანიზებული დანაშაულის ფენომენი მუდმივი მსჯელობის საგანია როგორც სამეცნიერო, ისე სამართალდამცავ სფეროებში. ამასთან, მსჯელობა მიმდინარეობს როგორც ზოგადად ინსტიტუტზე, ისე მის ცალკეულ ფორმასა თუ საქმიანობის მიმართულებებზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ორგანიზებული დანაშაულის ცნების, წარმოშობისა და განვითარების, მასთან ბრძოლის არსებული გამოცდილების შესწავლა საკანონმდებლო და პრაქტიკული მეთოდების საფუძველზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

კვლევის მიზანი: თემის მიზანია, ქვემოთ მოცემულმა და გაანალიზებულმა საერთაშორისო კანონმდებლობამ და პრაქტიკამ ხელი შეუწყოს სსსკ-ში განხორციელებული ცვლილებების უკეთ აღქმას და დააინტერესოს როგორც მოქმედი, ასევე მომავალი იურისტებიც, ასევე უკეთ ჩავუღრმავდეთ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს და განვიხილოთ ისინი.

კვლევის ამოცანა: თემის ამოცანაა, ღრმად ჩაწვდეს ქართული თუ უცხო ქვეყნების კანონმდებლობის იმ მაკავშირებელ და განმასხვავებელ დეტალებს, რომლებიც ხელს უწყობენ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის აღმოფხვრას, ასევე განვიხილავთ ამასთან დაკავშირებულ მიდგომებს სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან და შემაჯამებელ დასკვნას გამოვიტანთ.

კვლევის მეთოდები: თემაზე მუშაობისას, კვლევა ვაწარმოე თეორიულ მასალაზე დაყრდნობით, რომელზეც ლიტერატურულ მიმოხილვაში მოგახსენებთ - ეს იყო სამეცნიერო თუ ნორმატიული ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ გამეკეთებინა საკუთარი დასკვნები და ისე დამეწერა წინამდებარე ნაშრომი. შედარებით-სამართლებრივი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით დაიწერა ზოგიერთი თავი და ქვეთავი, რათა უკეთ დაგვენახა სხვაობა და კავშირი ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას შორის იმ საკითხთან მიმართებით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, წიგნები უშუალოდ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კუთხით ან და სტატიები ამ საკითხზე ქართულ ენაზე, ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც კი ძალზე მწირია, ამიტომ დიდი დახმარება გამიწია ინტერნეტ-რესურსებმა, ასევე

უცხოურმა ავტორებმა, რომლებიც მითითებულია სქოლიოშიც და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით. ასეთები იყო: ავტორთა კოლექტივის, „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, ასევე, გივი ლობჟანიძის „საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა“ და ვორონინის „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული“, ეს მონოგრაფიები რომელიც შედარებით-სამართლებრივ ანალიზს წარმოადგენს და მრავალმხრივ გვაჩვენებს საკითხის მთავარ მახასიათებლებს. ასევე, საინტერესო იყო ირაკლი ლაგვილავას „თანამედროვე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის კვლევის საკითხები“. ზემოთ ჩამოთვლილთაგან ზოგი წიგნი გამოცემულია 2000-წლამდე, ხოლო ნაწილი კი 2012-2018 წლების შუალედში და მათში ახლებურად არის დანახული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის არსი და მნიშვნელობა, აქვე მინდა ავღნიშნო, რომ 2000-წლამდე გამოცემულ წიგნში ნათლად არის ასახული ის პრობლემები, რომლებსაც დღესაც ვაწყდებით, როდესაც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულზე ვსაუბრობთ. შესადარებლად საინტერესო იყო საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა;

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალაც, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი N 741 – II ს.; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი.

ქართული ლიტერატურის მსგავსად, ჩემთვის მეტად საჭირო და ინფორმაციული გამოდგა უცხოური ლიტერატურაც, რომელიც ან ინტერნეტით მოვიძიე, ანდა ქართულ მასალებში იყო მოხსენიებული. ასეთები იყო: ლუნეევის „20-ე საუკუნის დანაშაული, მსოფლიო კრიმინოლოგიური ანალიზი“, ვორონინის „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული“ და ზორინის „ორგანიზებული დანაშაულის ცნება და ნიშნები“. ასევე, გამომადგა და დახმარება გამიწია ინტერნეტით მოძიებულმა მასალებმაც.

თავი II. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა

2.1 ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება

ორგანიზებული დანაშაულობა მთელ მსოფლიოში იღებს ტრანსნაცონალურ ხასიათს. XXI საუკუნის ზღურბლზე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა თავისი მასშტაბებით და დამანგრეველი ზემოქმედებით რეალურ საფრთხედ იქცა მთელი კაცობრიობისათვის საკუთარი დამანგრეველი ზეგავლენით, ისე თავისი მასშტაბების მიხევით. [1] ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა დიდ პრობლემებს უქმნის სახელმწიფოსა და საზოგადოებას, ხელს უშლის რა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სახელმწიფოს მიერ მართლწესრიგის დაცვას, შიდა კონფლიქტების მოგვარებასა და მათ თავიდან აცილებას, ასევე ტერორიზმის, იარაღის გავრცელებისა და ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაციის პრევენციას[2]. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა მოვლენაა, რომელიც წინ ეღობება ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ამასთანავე მისი მასშტაბები მუდმივად ფართოვდება. მას შეუძლია, არა მხოლოდ აითვისოს ახალი ბაზრები, არამედ შეარყიოს სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება, მით უმეტეს, თუ ეს სახელმწიფო გარდამავალი ეკონომიკის განვითარებადი ქვეყანაა. ამასთანავე, ტრანსნაციონალური დანაშაულობა გლობალურ ხასიათს ატარებს და მისი ზეგავლენისგან არც ერთი ქვეყანა თუ რეგიონი არაა დაზღვეული[3]. კრიმინოლოგები ისწრაფვიან ყოველმხრივ და ადექვატურად შეაფასონ იმ საფრთხის მასშტაბები და ხარისხი, რომელსაც სწრაფად მზარდი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა გვიქადის. ამისათვის ისინი აღნიშნულ მოვლენას განიხილავენ არა როგორც ორგანიზებული დანაშაულის "ტრადიციული" ფორმების მოდიფიკაციას, არამედ, როგორც საქმიანობის პრინციპულად ახალ სახეობას, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულებრივ სტრუქტურებს საშუალებას აძლევს, სწრაფად გაზარდონ კრიმინალური შემოსავლები, რითაც ემუქრებიან სახელმწიფოს ეკონომიკურ სტაბილურობასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. ამასთანავე ტრანსნაციონალური დაჯგუფებები დემონსტრაციულად წარმოაჩენენ საკუთარ

[1] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012, 196

[2] M. Brock, Miguel De Anda, Rummel Joseph and Calderon Michelle. March 29, 2010; December 2004. The Impact of Transnational Organized Crime A/59/565

[3] D.J. Kenney Finckenauer J.O. 1995. Organized Crime in America. Wadsworth Pub. Com.,347.

შესაძლებლობებს და შედარებით ხელშეუხებლობას სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან[4]. შეიძლება გამოვყოთ საერთო და ფაკულტატური მახასიათებლები, რომლებიც მსგავსია დამნაშავეთა ყველა ორგანიზებული ფორმირებისთვის და განსაკუთრებული თავისებურებები, რომლებითაც ხასიათდება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა.

ორგანიზებული დანაშაულობის საერთო ნიშნებია:

- კონკრეტული დანაშაულებრივი ფორმირების მდგრადობა, რაც გამოიხატება მის ხანგრძლივ აქტივობაში და მსგავსი დანაშაულების არაერთჯერადად ჩადენაში;
- როლების გადანაწილება ორგანიზაციის წევრებს შორის ვერტიკალური (ხელმძღვანელი რგოლის გამოყოფით) და ჰორიზონტალური (დანაშაულებრივი სპეციალიზაციის) პრინციპებით;
- იერარქიული სტრუქტურა, რომლის უმაღლესი რგოლი წარმოდგენილია მინიმუმ ერთი პირით, რომელიც ხელმძღვანელობს ორგანიზაციის საქმიანობას;
- ძალისხმევის მიმართვა განსაზღვრული სახეობის დანაშაულებრივ საქმიანობაზე (რაც უფრო მსხვილია ორგანიზაცია, მით უფრო ფართეა აღნიშნულ სახეობათა წრე);
- მინიმალურ ვადებში მაქსიმალური შემოსავლების მიღების მიზნის არსებობა;
- ჯგუფის წევრებს შორის სოციალური ურთიერთდახმარების სისტემის ფუნქციონირება (მაგალითად "ობშიაკის" სისტემა);
- აქტიური წინააღმდეგქმედება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, მათ შორის, კორუფციული მექანიზმების გამოყენებითაც;
- მკაცრი შიდა დისციპლინა, ქცევის განსაზღვრული კოდექსის არსებობა, რომლის დამრღვევთა მიმართ ტარდება დამსჯელობითი ღონისძიებები.[5]

ფაკულტატური ნიშნებია:

- ორგანიზაციის ხელმძღვანელის იზოლირება კონკრეტული დანაშაულებრივი საქმიანობისგან: ის არ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში, ხშირად არც აქვს პირდაპირი კავშირი მის შემსრულებლებთან და რჩება საქმიანობის იდეურ შთამგონებლად;
- დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის ("გათეთრების") მექანიზმების გამოყენება;
- კადრების შერჩევა ნაციონალური და კლანური ნიშნების მიხედვით;
- ახალი ტექნიკური საშუალებების გამოყენება დანაშაულებრივ საქმიანობაში.

---

[4] A. Edwards and Gill P. 2003. Transnational Organized Crime; Perspectives on Global Security. London: Routledge,35

[5] Ю.А Воронин. 1997. Транснациональная организованная преступность. Екатеринбург.с.4

- ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისთვის: ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოება ერთზე მეტ სახელმწიფოში; ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოება ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვისა თუ კონტროლის განხორციელება სხვა სახელმწიფოში; ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოება ერთ სახელმწიფოში, მაგრამ იმ ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას ერთზე მეტ სახელმწიფოში ახორციელებს;
- ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის გახორციელდება ერთ სახელმწიფოში მისი ძირითადი შედეგების სხვა სახელმწიფოში წარმოჩენით. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ გაეროს კონვენციის მიხედვით, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას მიეკუთვნება ადამიანის კრიმინალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ისეთი დანაშაულები, როგორიცაა: ადამიანის ტრეფიკინგი, ორგანიზებული პროსტიტუცია, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა და არალეგალური მიგრაცია[6]. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის განვითარებას საფუძვლად უდევს შემდეგი სამი ფაქტორი:
- ეკონომიკის გლობალიზაცია;
- გლობალური საკომუნიკაციო სისტემების სრულყოფა;
- იმიგრაციული პროცესების ზრდა.
- ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნებით ოპერირებისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ მისი არსი და ძირითადი მახასიათებლები[7].

  დეფინიციისადმი სწორი მიდგომა საშუალებას იძლევა რეალურად შევაფასოთ საფრთხის მასშტაბები, განვსაზღვროთ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმირების გზები, მისი აღმოცენებისა და არსებობის მიზეზები. ეს, თავის მხრივ, ეხმარება საერთაშორისო საზოგადოებას გააერთიანოს ყველა სახელმწოფოს ძალისხმევა და შეიმუშავოსტრანსნაციონალურ დანაშაულობასთან წინააღმდეგქმედების ადეკვატური ღონისძიებების კომპლექსი.[8]

  სამწუხაროდ, აღნიშნული მოვლენით განპირობებული გლობალური საფრთხის გაცნობიერება

  და მის წინააღმდეგ კოორდინირებული ქმედების აუცილებლობის საკითხი სულ ცოტა ხნის

---

[6]UN Convection against Transnational Organized Crime/ www.unodc.org/unodc/en/.../index.html (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[7]S.Calvani - Transnational Organized Crime: a global concern NATO DEFENSE COLLEGE- http://www.unicri.it/wwa/staff/speeches/080519b-dir.pdf/ Rome, 16 May 2008 (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[8]ი.ლაგვილავა, თანამედროვე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის კვლევის საკითხები,2018,გვ.8

წინ - XXI საუკუნის მიჯნაზე აღმოცენდა[9]. ამიტომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის აღწერისა და კლასიფიკაციის ცალკეული მცდელობის მიუხედავად, უკანასკნელ დრომდე არ შეუმუშავებიათ მისი მკაფიო განსაზღვრება და ყოვლისმომცველი დახასიათება. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობას გააჩნია ჰიპერტროფიული ზრდის ტენდეცია და წარმოადგენს ძალას, რომელიც საფრთხეს უქმნის ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. იგი არამარტო აფართოებს თავის საქმიანობას არამედ ანგრევს საზოგადოების ეკონომიკურ იფრასტრუქტურას და საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უშიშროებას, დემოკრატიული რეფორმების რეალიზაციას, პირველ რიგში განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკის ქვექნებში, რომელთაც საქართველოს განეკუთვნება.[10] ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის გლობალურმა და აგრესიულმა ხასიათმა საერთაშორისო საზოგადოება აიძულა, მთელი ძალისხმევა მიეპყრო ამ ნეგატიური მოვლენის პრევენციის მექანიზმების შემუშავებისა და მის წინააღმდეგ ბრძლისაკენ, რამეთუ მისგან დაზღვეული არ არის არც ერთი სახელმწიფო და რეგიონი.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ტრანსნაციონალური დანაშაულობა არ არის "ტრადიციული" ორგანიზებული დანაშაულობის ახალი ნაირსახეობა. იგი წარმოადგენს დანაშაულებრივი საქმიანობის თვისებურად ახალ ტიპს, რომელიც დამნაშავეთა ორგანიზებულ სტრუქტურას შესაძლებლბოას აძლევს, დაემუქრონ სახელმწიფოების სტაბილურობას, ხელი შეუშალონ მათ ეკონომიკურ განვითარებას, დანერგონ კორუფციული ურთიერთობები, დაბლოკონ დემოკრატიული ინსტიტუტები და ამით მოახდინონ ძლევამოსილების და ხელშეუხებლობის დემონსტრირება.[11]

როგორც ყველა სხვა სოციალური მოვლენა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობაც ფლობს მახასიათებელი ნიშნების ერთობლიობას, რომელიც საშალებას იძლევა, გამოვლინდეს ამ ფენომენის ძირითადი პარამეტრები და პარადიგმები. ძირითადი მაჩვენებლების საფუძველზე, შეიძლება გამოვიკვლიოთ ტრანსნაციონალური დანაშაულობის სტრუქტურა, მექანიზმები და თავისებურებები, აგრეთვე მოვახდინოთ მისი გამიჯვნა სხვა დანაშაულებრივი ორგანიზებული სტრუქტურისაგან.

---

[9] პრობლემები და საშიშროება, რომელთაც ქმნის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. მინისტრების დონეზე ჩატარებული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენციის ცნობარი. ნეაპოლი, 21-23 ნოემბერი. 1994. E/CONF. 88/2. 1994. 18 Aug.

[10] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,გვ.245

[11] Ю.А. Воронин. Транснациональная организованная преступность. Екатеринбург. 1997с.11

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჩამოყალიბდეს "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის" ცნება, რომლის საშუალებითაც შეიძლება შეფასდეს იმ საფრთხის მასშტაბურობა, რომელსაც ეს ნეგატიური მოვლენა ატარებს, განისაზღვროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმირების გზები, მისი არსებობის და აღმოცენების მიზეზები. უნიფიცირებული ცნების ჩამოყალიბება მსოფლიო საზოგადოებას საშუალებას მისცემს, გააერთიანოს ძალისხმევა და მიიღოს ადექვატური ზომები, რათა საერთაშორისო დონეზე შეებრძოლოს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას.[12]

სამწუხაროდ, მსოფლიოსათვის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის მიერ შექმნილი გლობალური საფრთხის და მის წინააღმდეგ ბრძლის კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის გაცნობიერება მხოლოდ გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში მოხდა, ამიტომ, აღნიშნული მოვლენის სისტემატიზაციის ცალკეული მცდელობის მიუხედავად, ბოლო დრომდე არ არის განსაზღვრული მისი ძირითადი მახასიათებლები და არაა შემუშავებული მისი უნივერსალური დეფინიცია. [13]

ქვემოთ მოგითხრობთ იმ ძალისხმევათა შესახებ, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო დონეზე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის უნივერსალური განსაზღვრისაკენ. მსგავს მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1988 წელს სანტ-კლაუდის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულობას[14]. ინტერპოლის 46 წევრი ქვეყნიდან 84 მონაწილე, მსჯელობის შედეგად, მივიდა შეთანხმებამდე, მიეღოთ განსახილველი ცნების- "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის" აღმნიშვნელი სამუშაო ფორმულა,რომელიც შემდგომ დისკუსიებს დაედებოდა საფუძვლად. გადაწყდა, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებულ დანაშაულში ეგულისხმათ ადამიანთა ნებისმიერი ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელიც მიმართულია სარგებლობის მიღებისკენ ყველგან - ნაციონალური საზღვრების მიუხედავად"[15]. მოცემულბა განსაზღვრებამ საშუალება მოგვცა, გამოგვეყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულიბის ოთხი ძირითადი ნიშანი :

1. ორგანიზაციის არსებობა და მასში მონაწილეობა;

2. უწყვეტობა;

---

[12] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,198

[13] ი. ლაგვილავა, თანამედროვე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის კვლევის საკითხები,2018,9

[14] Ю.А. Воронин. Транснациональная организованная преступность. Екатеринбург. 1997с.257

[15] იქვე,გვ.259

3. საქმიანობის მიზნად მოგების მიღების დასახვა;

4. მისი მიღწევის ხერხები, რომლებიც ეყრდონა ეროვნული საზღვრების იგნორირებას;[16]

ყველა ჩამოთვლილი ნიშანი, უეჭველია, წარმოადგენს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ამა თუ იმ მახასიათებლებს, მაგრამ პირველი სამი საბაზოა კლასიკური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმულირებისათვის. მხოლოდ ერთადერთი ნიშანი- დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელაბა როგორც ეროვნული საზღვრების შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ- ამჟღავნებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სპეციფიკას. მაგრამ, გამოხატავს რა მის ძირითად არსს, ეს ერთადერთი ნიშანი არ გვაძლევს საშუალებას, სრულად შევაფასოთ პრობლემის გლობალურობა, მით უმეტეს მთლიანად მოვიცვათ მისი მახასიათებლები და თავისებურებები.[17]

ბოლო წლებში კრიმინოლოგიაში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულიბის ცნებისადმი ორი დომინირებული მიდგომა გამოიკვეთა. ერთი მხრივ, ყურადღების აქცენტირება მოხდა ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების სტრუქტურისა და ნაირსახეობაზე, მეორე მხრივ კი- მათი ფუნქციონირების მექანიზმების ანალიზზე.[18]

პირველი მიდგომის ჩარჩოებში გამოკვლევას ექვემდებარება კლასიკური ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების განვითარების ისტორია, მათი საქმიანობის ინფრასტრუქტურა, სპეციალიცაზია და ზოგიერთი სტრუქტურული თავისებურება. ეს მეთოდი არ იძლება საშუალებას, გამოვავლინოთ მოცემული ფორმირებების ფუნქციონირების მექანიზმები და გავმიჯნოთ ისინი ახალი ტალღის დანაშაულებრივი ორგანიზაციებისაგან, რომლებმაც უკვე მიიღეს ტრანსნაციონალური ხასიათ და ზემოგების მიღების მიზნით საერთაშორისო ასპარეზზე გააღწიეს.[19]

სავარაუდოდ, შედარებით რაციონალურია მეორე მიდგომა, როცა მთლიანად ტრანსნაციონალური დანაშაულობისათვის ყველაზე ტიპობრივი ნიშნების ანალიზისა და დაჯგუფების შედეგად ხდება სხვადასხვა ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციებისათვის ნიშანდობლივი ძირითადი მახასიათებლებისა და კონსტრუქციების გამოვლენა.

მკლვლევარები გამოყოფონ 3-დან 14-მდე ასეთ ნიშანს. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთ შემთხვევაში ავტორები ტრანსნაციონალური დანაშაულობის დეფინიციაში გულისხმობენ როგორც ორგანიზებული კრიმინალური ფორმირებებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, ასევე იმ ნიშნებსაც,

[16] Global Organized crime and International Security / Ed. by E.Viano. Ashgate. Pub. Ltd. 1999,17

[17] M. Edelbacher.,Organisierte Kriminalitat in Europa / Wien: Linde. 1998,135

[18] J. R. Richards, 1999. Transnational Criminal organization, Cybercrime, and Money Laundering. CRC Press LLC,345

[19] The United Nations and Transnational Organized Crime / Ed. by P.Williams and E. Savona. Portland. Oregon. 1996,247

რომლებიც საშუალებას იძლევიან ამ ფორმირებებს შორის გამოეყოთ ტრანსნაციონალური თვისებების მქონე ჯგუფები, მეორე შემთხვევაში კი, მკვლევარებს მოჰყავთ მხოლოდ ის მახასიათებლები, რომლებიც განმსაზღვრელია ტრადიციული და ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების გამიჯვნისათვის.[20]

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელი ნიშნების ყველაზე სრული ნაკრები შეიმუშავეს კანადის სისხლის სამართლის დაზვერვის პოლიციის დეპარტამენტშ. ეს ნიშნებია :

1. კორუფცია- არაკანონიერი გავლენის გამოყენება, ადამიანის სისუსტეებით მანიპულირება და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეთა შანტაჟი;

2. დისციპლინა- ორგანიზაციისადმი დამორჩილების იძულება დაშინებისა და ძალადობის გამოყენებით;

3. შეღწევა- ძალისხმება კანონიერ ინსტიტუშ შესაღწევად კრიმინალური მოგების გაზრდის და დანაშაულზე პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით;

4. იზოლაცია- ორგანიზაციის ლიდერების დაცვა მათი რიგითი წევრებისგან გამიჯვნით, აგრეთვე ფორმირების შიგნით სხვადასხვა რგოლებისა და ფუნქციების განცალკევებით.

5. მონოპოლია- გეოგრაფიული ტერიტორიის ფარგლებში კრიმინალური აქტიურობის გარკვეულ სფეროზე კონტროლი და კონკურეციისადმი შეუწყნარებლობა.

6. მოტივაცია- ძალაუფლების და გავლენის მოპოვება სიმდიდრის დაგროვებით, პოლიტიკურ და სოციალურ მოგებათა მიღებით;

7. დამხობა- საზოგადოებრივი ინსტიტუტების, სამართლებრივი და მორალური ღირებულებების გაუფასურება;

8. ისტორია- უზრუნველყოფს კრიმინალური საქმიანობის სრულყოფას და მონოპოლიზაციას;

9. ძალადობა- უყოყმანოდ გამოიყენება ორგანიზაციის დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად;

10. დანაშაულბრივი პროფესიონალიზმი- მისი დანერგვა მოწინავე კომუნიკაციების სისტემებით სარგებლობისათვის ფინანსური ოპერაციების და კონტროლის განსახორციებლად.

11. უწყვეტობა- კორპორაციის მსგავსად, ორგანიზაცია ხელს უწყობს მისი შემქმნელებისა და მმართველობის სტრუქტურის შენარჩუნებას.

12- უკანონო საქმიანობის მრავალფეროვნება- ორგანიზაციის მიერ მხოლოდ ერთი სახის დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოების ტენდეციის აღმოფხვრა;

13. კავშირი- წევრისა წევრთან და წევრისა ორგანიზაციასთან სოლიდარობისა და დაცვისათვის,

[20] L. Shelley, The Thereat to the World Order/ Organized Crime contemporary isues San Diego 1999,123

რაც ხშირად სპეციფიკური რიტუალების კომპლექსით გამოიხატება.

14. მობილურობა- იურისდიქციული და ნაციონალური საზღვრების იგნორირება;[21]

უეჭველია, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის მოცემული დეფინიცია მთელი რიგი ნიშნებით ემთხვევა ორგანიზებული დანაშაულობის საერთო მახასიათებლებს წარმოდგენილ ჩამონათვალს გააჩნია საკმაოდ აბსტრაქტული ხასიათი. მხოლოდ უკანასსკნელი (მე-14) ნიშანი მიუთითებს დანაშაულის ტრანსნაციონალურობაზე, რომელიც მოცემულ კონტექსტში მეტად ბუნდოვნად აღიქმება. იმისათვის, რომ განისაზღვროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის არსი, აუცილებელია ყურადღების ფოკუსირება მოხდეს მახასიათებლებზე, რომლებიც ნიშანდობლივია მხოლოდ ამ საქმიანობისათვის და მიჯნავს მას ორგანიზებული დანაშაულობის სხვა ფორმებისგან. ასე მაგალითად, ლ. შელი გამოყოფს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის 3 განმასხვავებელ ნიშანს :

1. ორგანიზაციის ბაზირება ხდება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

2, მას შეუძლია, დანაშაულები ჩაიდინოს ერთი ქვეყნის საზღვრებში, მაგრამ, როგორც წესი თავის კრიმინალურ აქტივობას განავრცობს რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე;

3. დაყვანა თავისი საქმიანობის კრიმინალური აქტიურობის და ნეგატიური შედეგების სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე გადატანით კონკრეტული შემსრულებლისა და უცხო ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოებისგან გამიჯვნის მიზნით.[22]

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელი ნიშნები აღწერილია ამერიკული მკვლევარების რ. გოდსონის და ვ. ოლდსონის გამოკვლევებში. ისინი მიუთითებენ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ისეთ განმასხვავებელ თავისებურებებზე, როგორებიცაა კრიმინალური ოპერაციების გლობალური მასშტაბი და დანაშაულბრივი საქმიანობის გავრცობა სახელმწიფოთა საზღვრებს გარეთ. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის გლობალური ქსელები უზრუნველყოფენ მის მობილურობას, ინფრასტრუქტურის ეფექტურ კომუნიკაციას, დანაშაულებრივ საწარმოებს შორის საერთაშორისო კავშირებს, ასევე კავშირებს არაკრიმინალური ხასიათის ორგანიზაციებთან მათი მომსახურების გამოყენების მიზნით, სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმდევაში სწრაფ ადაპტაციას. ამასთან ერთად, ისინი ახალი პროდუქტის შექმნის საშუალებას იძლევიან (მაგალითად creck"-ი, რომელმაც 80-იან წლებში ამერიკული კოკაინის ბაზარზე რევოლუცია მოახდინა) ან თავიანთი საქონლისა და მომსახურებისათვის ახალი ტერიტორიული ბაზრების მოპოვებას უწყობენ ხელს, როგორც

[21] L. Shelley, The Thereat to the World Order/ Organized Crime contemporary isues San Diego 1999,125

[22] J. R. Richards, 1999. Transnational Criminal organization, Cybercrime, and Money Laundering. CRC Press LLC,137

ცდილობდნენ ამის გაკეთებას კოკაინის კარტელები, როცა ამყარებდნენ კავშირებს იტალიურ მაფიას ან/და ევროპის სხვა კრიმინალურ ორგანიზაციებთან.[23] ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობას უნარი აქვს, თავის ინტერესებს მოარგოს სიტუაციის ცვლილება რომელიმე ქვეყანაში და კარგად გამოიყენოს უთანხმოება სამართალდამცავი ძალების საერთაშორისო კორპორაციაში.[24]

ამგვარად, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის არსის სირთულე არ იძლევა მარტივი განზოდაებით მისი გაგების საშუალებას, ხოლო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა არ წარმოადგენს დანაშაულებრივი კარტელების პროტოტიპს. ამიტომ მათი დახასიათბა დიდადაა დამოკიდებული იმ საქმიანობის შინაარსზე, რომელიც წარმოადგენს ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების არსებობის აზრს.[25]

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა დაკავებულია კრიმინალური საქმიანობის ფართო სპექტრით- დაწყებული ისეთი ტრადიციული სახეებიდან, როგორებიცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა და იარაღის უკანონო ბრუნვა, დამთავრებული სამრეწველო და ტექნოლოგიური ჯაშუშობით, მანიპულაციებით საფინანსო ბაზარზე. კრიმინალური დაჯგუფებები კორუფციას და შიდა თუ გარე სამართლებრივი სისტემის ჯგუფებზე კონტროლს გამოიყენებენ, როგორც დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების საშუალებებს, ხოლო ფულის ლეგალიზაცია ბანკებშ, ფინანსურ ინსტიტუტებში და ბიზნესში მისი ჩადებით ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ძრითად საერთაშორისო თავისებურად იქცა მთელ მსოფლიოში.[26]

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება სხვადასხვანაირად განისაზღვრება: მისთვის უფრო მეტად დამახასიათებელ ტიპობრივ თავისებურებებზე[27]," ტრანსნაციონალური დანაშაულობის" უფრო ფართო და "ტრანსნაციონალური კრიმინალური კორპორაციების "უფრო ვიწრო ცნებებზე დაყრდნობით.[28]

უდავოა, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა ისევე, როგორც დანაშაულობის სხვა ფორმები, ექვემდებარება საქმიანობის მისთვის დამახასიათებელ მოტივებს და მისი წევრების ქცევის შაბლონებს. ამიტომ ამ მოვლენის ძირითადი ნიშნების ანალიზის დროს ყურადღება ექცევა

---

[23] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,199

[24] R.Godson, Olson W. International Criminal Organization. Organized Crime: Contemporary Issues,2002,26

[25] ი. ლაგვილავა, თანამედროვე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის კვლევის საკითხები,2018,6

[26] L. Shelley, The Thereat to the World Order/ Organized Crime contemporary isues San Diego 1999,63

[27] Ю.А. Воронин 1997. Транснациональная организованная преступность. Екатеринбург,249

[28] А. Зорин, Г. Танкевич О. В. 1997. Понятие транснациональной преступности. Гродно,176

მთლიანად საქმიანობის და მისი სუბიექტების ქცევის კერძო განხილვას, ამავდროულად გარკვეული სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში არსებული კლასიკური ორგანიზებული დანაშაულიბის და მისი ტრანსნაციონალური ფორმების სუბიექტების გამიჯვნა შესაძლებელია მხოლოდ მათი საქმიანობის შესწავლით. ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია იმის კონსტატირება, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წამყვანი განმასხვავებელი ნიშანია საქმიანობის სპეციფიკა და მისი ტრანსნაციონალური ხასიათი.[29]

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულიბის წამყვანი ნიშნის განსაზღვრა საშუალებას იძება, გაიმიჯნოს ცალკეულ სახელმწიფოთა შიგნით არსებულ ნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულსა და ტრანსნაციონალურ დანაშაულს შორის. ამ განსაზღვრების ბაზას წარმოადგენს ამერიკელი კრიმინოლოგების მიერ ჯერ კიდევ 1971 წელს შემოთავაზებული ტერმინის-" ტრანსნაციონალურის"- განმარტება, რომელიც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემებზე მსჯელობას დაედო საფუძვლად ნეაპოლის 1994 წლის მსოფლიო კონფერენციაზე.[30]

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობაში იგულისხმება კრიმინალური ორგანიზაციების მიერ უკანონო ოპერაციების განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის ნაკადის, ფულის, ფიზიკური ობიექტების, ადამიანების, სხვა მატერიალური და არამატერალური საშუალებების სახელმწიფო საზღვრებზე გადანაცვლებასთან საზღვარგარეთის ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურის გამოყენების, არსებით ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, აგრეთვე სოციალური კონტროლისათვის თავის ეფექტურად ასარიდებლად კორუფციის, ძალადობის და სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთგანსხვავებების გამოყენებასთან.

ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა ხდება ტრანსნაციონალური, თუ :

1. იგი დაკავშირებულია მატერიალურ და არამატერიალურ საშუალებათა სახელმწიფო საზღვრებზე გადანაცვლების უკანონო ოპერაციებთან, რომლებსაც მოაქვთ არსებითი მოგება;

2. მისი განხორციელების დროს გამოიყენება ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურა, სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები, რიგირ ნორმების არ არსებობა (დაუშვებლობა), აგრეთვე კორუფციისა და

[29] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,201

[30] R. Nye J. Koechane– Transnational Relation and World Politics. Cambridge Massachusetts, Harvard,2012,163

ძალადობის გზით სახელმწიფოების ლეგალურ ეკონომიკაში შეღწევა.[31] ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ტრანსნაციონალიზაცია, ანუ მისი გასვლა ერთი სახელმწიფოს ნაციონალური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, ამჟამად უკვე განხორციელებული საერთაშორისო ფაქტია, რაც არსებითად შეიძლება განვიხილოთ, როგორც კრიმინალური ევოლუციის უმაღლესი დონე.[32] ორგანიზებული დანაშაულობის თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა და ფართო კავშირებმა უზრუნველყვეს სხვა კონტინენტებზე და სხვა ქვეყნებში პარტნიორებთან კონტაქტების დამყარების დაჩქარება. ელექტრონული ანგარიშების თანამედროვე საბანკო სისტემებმა შესაძლებელი გახადეს საერთაშორისო დანაშაულებრივი გარიგებების განხორციელება, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, აგრეთვე სხვადასხვაგვარ ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობა.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოადგენს კრიმინალური ქცევის რაციონალურ და პროფესიონალურ ნაწილს. ამის გამოვლინებას წარმოადგენს შესაძლო რისკის მინიმუმადე დაყვანა და მაქსიმალური მოგების მიღება. ასეთი კრიმინალური ორგანიზაციები ხასიათდებიან ადაპტაციის განსაკუთრებული ნიჭით. მათ შეუძლიათ ისწავლონ საკუთარ და სხვის გამოცდილებაზე, ფლობენ სიტუაციის სტრატეგიულ ხედვას და მისი განვითარების შესაძლო ვარიანტებს. ისინი დასახმარებლად ხშირად მიმართავენ მაღალი კლასის სპეციალისტებს, იყენებენ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებს და მოწყობილობებს. ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი ორგანიზებული დამნაშავეები არასოდეს გადააბიჯებენ სახელმწიფოს ნაციონალურ საზღვრებს, თუ ვერ დაინახავენ მოგებას და არ მიიღებენ სერიოზულ უპირატესობებს და შესაძლებლობებს.[33]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უფრო მეტად მძლავრმა დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა დაიწყეს ოპერაციების განხორციელება საერთაშორისო მასშტაბებით და გარდაქმენს ტრანსნაციონალურ დანაშაულებრიც ორგანიზაციებად. ტრანსნაციონალური ოპერაციები დანაშაულებრივ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევთ, შეაღწიონ მომგებიან ბაზრებზე და განახორციელონ ეს იმ რეგიონებიდან, სადაც ისინი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ხელშეუხებლები არიან. დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები ვრცელდება მსოფლიო ფინანსური სისტემის არხებით, იმალება ოფშორულ ზონებში და ლოიალური რეგულირების საბანკო ცენტრებში.

ასეთი ორგანიზაციები ხდებიან მსოფლიო ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი

---

[31] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,204

[32] Ю.А Воронин. Транснациональная организованная преступность. Екатеринбург. 1997.с.9

[33] იქვე, გვ.11

მონაწილეები და თამაშობენ განსაკუთრებულ როლს კანონით აკრძალულ სფეროებში (მაგალითად, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და მის წარმოებაში), რომელთაც მიიღეს გლობალური მასშტაბები და მოაქვთ ისეთი შემოსავლები, რომელიც რაოდენობით აღემატება ზოგიერთი განვითარებადი და განვითარებული სახელმწიფოს საერთო ეროვნულ პროდუქტს.[34] ვაშინგტონის ნაციონალური სტრატეგიული საინფორმაციო კომიტეტის ექსპერტების თანახმად, "მსოფლიო მაფიის შემოსავალი შეადგენს დაახლოებით 1 ტრლ. დოლარს, ეს თანხა თითქმის ექვივალენტურია ამერიკის ფედერალური ბიუჯეტისა."[35] ამავე დროს, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნების განსაზღვრება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის დახასიათებით. ამ ცნების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების სპეციფიკა. გარდა ამისა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის დახასიათება მხოლოდ მისი საქმიანობის მიხედვით არ იძლევა საშუალებას ერთმნიშვნელოვნად გავმიჯნოთ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება ისეთი მომიჯნავე ცნებებისგან, როგორებიცაა, მაგალითად, საერთაშორისო დანაშაულობა, რომლის ერთ-ერთი ნიშანი აგრეთვე დანაშაულის ჩადენის დროს ეროვნული საზღვრების იგნორირებაა.[36]

უდავოა, რომ "საერთაშორისო დანაშაულობა" მნიშვნელოვნად ფართო ცნებაა, ვიდრე "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა" და რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს მის სტრუქტურულ ელემენტს. ამ ცნებების ერთმანეთისგან გამიჯვნა ხდება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტების, მისი მასშტაბების და ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით. საერთაშორისო დანაშაულობის სუბიექტებს წარმოადგენენ ყველანაირი ჯგუფები და ორგანიზაციები, აგრეთვე ინდივიდუალურად მოქმედი დამნაშავეები. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას გააჩნია უფრო ვიწრო სუბიექტური შემადგენლობები მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტების ძირითად ჯგუფებს შეადგენენ დანაშაულებრივი ორგანიზაციები და საზოგადოებები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფილიალების ქსელს ეყრდნობიან. მათთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ტიპობრივი ნიშნებია : ორგანიზებულობის მაღალი დონე, ოჯახური ან ეთიკური საფუძველი, რომელიც საშუალებას აძლევთ გადაწყვიტონ შევსების, ნდობის და ორგანიზაციის შიგნით დისციპლინის პრობლემები, სხვა ქვეყნების დანაშაულებრივ

[34] Г. А. Зорин, Танкевич О. В. 1997. Понятие транснациональной преступности. Гродно,с.24

[35] В. Лунеев, Преступнонсть XX Века Мировой криминологический анализ М., 1999, с.318

[36] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,242

ორგანიზაციებთან ტრანსნაციონალური კავშირების საკთხი; აგრეთვე უზრუნველყონ ვიწრო კორპორაციული ინტერესების დაცვა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ზეწოლის ნეიტრალიზაცია.[37]

გარდა ამისა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტთა ნაწილი წარმოდგენს კრიმინალური ორგანიზაციების და სახელმწიფოს სიმბიოზს, სადაც სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით იყენებს დანაშაულებრივ საშუალებებს და მეთოდებს საკუთარი მიზნების მისაღწევად ან მთლიანად ხდება დამოკიდებული ამ ორგანიზაციებზე, რომლებიც, თავის მხრივ, იყენებენ სახელმწიფო ატრიბუტიკას, როგორც საკუთარი საქმიანობის ნამდვილი არსის საფარს. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმინობა, რომელსაც ახორციელებენ მისი სუბიექტები, საერთო- "საზღვრების გადალახვას"- ნიშნის გარდა, ხასიათდება უწყვეტი ფუნქციონირებით, კავშირების გლობალური მასშტაბებით, თავისი საქმიანობის სტრუქტურული მსგავსებით ლეგალურ ბიზნესთან, მაგრამ სოციალური კონტროლისაგან უფრო მაღალი ხარისხის დაცვით, მიზნების მიღწევის ძირითად მეთოდებად კორუფციის და ძალადობის გამოყენებით.[38]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციების და საზოგადოების ფუნქციონირება, რომელთაც გააჩნიათ ფილიალების განტოტვლილი ქსელი სხვა ქვეყნებში, იყენებენ საერთაშორისო კავშირებს, რათა მუდმივად განახორციელონ გლობალური უკანონო ოპერაციები, დაკავშირებული ინფორმაციის ნაკადის, ფულის, ფიზიკური ობიექტების, ადამიანების, სხვა მატერიალური და არამატერიალური საშუალებების სახელმწიფო საზღვრებზე გადანაცვლებასთან იმ მიზნით, რომ გამოიყენონ საზღვარგარეთის ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში არსებული ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურები მაღალი ეკონომიკური მოგების მისაღებად, აგრეთვე ეფექტურად აარიდონ თავი სოციალურ კონტროლს კორუფციის, ძალადობის და სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაშ არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების გამოყენებით.[39]

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ზემოთ მოყვანილი დახასიათებიდან გამომდინარე, განვიხილოთ დანაშაულობის ამ სპეციფიკური სახეობის თავისებურებები:

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ, უნდა იყოს მომგებიანი. სწორედ

[37] В. Лунеев, Преступнонсть XX Века Мировой криминологический анализ М., 1999, с.319
[38] Ю.А. Воронин, Транснациональная организованная преступность. Екатеринбург. 1997.с.13
[39] http://rus.ruvr.ru/2010/03/15/5295734.html; (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

მაღალი მოგება და შემოსავლების მუდმივი ზრდა წარმოადგენს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციებისათვის დომინანტურ მიზანს. ყველა სხვა მიზანი და მოტივაცია პოლიტიკურის ჩათვლით, ატარებს მეორეხარისხოვან ხასიათს.[40]

მაგრამ ანალოგიური მიზნები გააჩნია ნებისმიერ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებას. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს განასხვავებს ის, რომ მოგება, რომელსაც ის თავისი მუდმივი საქმიანობით ღებულობს სხვა სახელმწიფოს ან ქვეყნის ტერიტორიაზე, კოლოსალური მოცულობისაა, ხოლო დანაშაულებრივი ორგანიზაციები ღებულობენ მას ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად. ასე მაგალითად, ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები მარტო აშშ-ში შეადგენს 50 მლრდ. დოლარს წელიწადში. კოლუმბიის კარტელების მიერ მიღებული შემოსავლები -20 მილიარდს; ეს მაშინ, როცა კოლუმბიის, ბოლოვიის და პერუს გაერთიანებული წლიური ბიუჯეტი არ აღემატება 9 მლრდ. დოლარს.[41]

ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობა თავისი გლობალური მასშტაბებით მცირედ თუ განსხვავდება თავისი წყობისა და ორგანიზების მიხედვით უმსხვილესი ლეგალური კორპორაციებისაგან, რომლებსაც გააჩნიათ მუდმივი სპეციალიზებული სტრუქტურები სხვადასხვა ეკონომიკური ოპერაციების განსახორციელებლად; საექსპერტო-საიმპორტო, სავაჭრო, საკრედიტო-საფინანსო და სხვა., რაც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას მიჯნავს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობისაგან, რომელთაც მხოლოდ ეპიზოდურად შეუძიათ ცალკეული საერთაშორისო ოპერაციების განხორციელება.

საქმიანობის ფართო სპექტრისა და მაღალშემოსავლიანი მასშტაბების წყალობით ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები აკონტროლებენ უდიდეს ფინანსურ სახსრებს, რომლებიც ხანდახან აღემატებიან კიდეც ზოგიერთი ქვეყნის საერთო ეროვნული პროდუქტის მაჩვენებელს. ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნის პირობებში განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები არაერთხელ აღმოჩნდებიან თავიანთ ტერიტორიაზე მოქმედ ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულ მდგომარეობაში. ამგვარ დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა განაპირობებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის მასშატაბურ შეღწევას ხელისუფლების ორგანოებსა და სახელმწიფო მმართველობაში, რასაც მივყავართ იქამდე, რომ ისინი თავად აღმოჩნდებიან ჩათრეულები დანაშაულებრივ საქმიანობაში და აქტიურად არიდებენ თავს

[40] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,205

[41] Global Mafia Special Report. Newsweek. Washington, 1995,7

საერთაშორისო თანამშრომლობას ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.[42]

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციებისაგან ასეთი გზით შექმნილი რთული კონგლომერატი იწყებს მოქმედებას, როგორც კარგად აწყობილი სქემის ერთიანი მექანიზმი, რომელიც არამარტო ადვილად ახდენს თავისი ინტერესებისათვის ნაციონალური ეკონომიკის დაქვემდებარებას, არამედ ზემოქმედებას სხვა ქვეყნების ეკონომიკაზეც, რომლებშიც მსგავსი დანაშაულებრივი საქმიანობა ხორციელდება. ამასთან, დამნაშავეები დაცულნი არიან პრაქტიკულად ყველა სახის კონტროლისაგან, რადგანაც სახელმწიფო, რომელიც მოწოდებულია, განახორციელოს მეთვალყურეობა, პირიქით, ყველა ზომას მიმართავს დანაშაულებრივი საქმიანობის კიდევ უფრო მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.[43] ეს რა თქმა უნდა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ძალის დემონსტრირების უკიდურესი შემთხვევაა, როდესაც მას შეუძლია თავის ინტერესებს დაუმორჩილოს მთელი რიგი სახელმწიფოები, შეაფერხოს მათი ეკონომიკური განვითარება და მთლიანობაში დაემუქროს საერთაშორისო უსაფრთხოებას, მაგრამ ამაზე ლაპარაკი დღეს უკვე შეიძლება არა ჰიპოთეზური მოსაზრებებიდან, არამედ რეალური ჭეშმარიტებიდან გამომდინარე. მაგალითისთვის გამოდგება აზიური და სამხრეთ ამერიკული ნარკოსახელმწიფოები, რომელთა ბიუჯეტშიც იგეგმება ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები.[44] სახელმწიფოთა უმრავლესობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა წინ აღუდგეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ექსპანსიას და ამ უკანასკნელს თავისი ძირითადი მიზნების მისაღწევად თუ საკუთარი ინტერესების დასაცავად ძალადობისა და კორუფციის გამოყენება უხდება. ასეთ დროს სახელმწიფო ხელისუფლების და ორგანიზაციების წარმომადგენლების ყოფნა მნიშვნელოვნად აადვილებს ამ პროცესს. [45]

ძალადობას და კორუფციას დანაშაულებრივი ორგანიზაციები იყენებენ დიფერენცირებულად, ძირითადად სპეციფიკური საკითხების გადასაწყვეტად. ყველაზე ხშირად ძალადობას მიმართავენ დანაშაულებრივი საქმიანობის პროცესის უწყვეტობისათვის, ე. ი. მხოლოდ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, კონკურენტების დაშინების მიზნით, ორგანიზაციაში დისციპლინის უზრუნველსაყოფად უსაფრთხოებაზე მუქარის შემთხვევაში. ძალადობის დონე სხვადასხვა

[42] R.Godson , Olson W. International Criminal Organization. Organized Crime: Contemporary Issues,154

[43] Global Mafia Special Report. Newsweek. Washington, 1995,12

[44] იქვე,გვ.16

[45] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,235

დანაშაულებრივ ორგანიზაციებში სხვადსხვაა, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ის წარმოადგენს პრინციპულ, მაკონტროლებელ იარაღს პრაგმატული მიზნების მისაღწევად.[46]

ოფიციალური ორგანოების მიმართ ძალადობას, ჩვეულებრივ, პირდაპირ არ ახორციელებენ. მათზე ზემოქმედებისათვის ფართოდ იყენებენ სხვა ეფექტურ მეთოდს- კორუფციას, რომელსაც მიმართავენ სასჯელისა და გამოძიების თავიდან აცილების, არაკანონიერი უპირატესობების მოპოვებისა და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების ინტერესების ლობირებისათვის. კორუფციით ხშირად სარგებლობენ, როგორც ცალკეული პირების, ასევე მთელი დაწესებულებების ნეიტრალიზაციის მიზნით, რასაც შეიძლება მოჰყვეს ყველაზე დამღუპველი შედეგები პოლიტიკური სფეროსა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურისათვის.

არაიშვიათად ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები ცდილობენ სხვა ქვეყნის თანამდებობის პირების კორუმპირებას ამ ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისა და გაგრძელების ან რაიმე არაკანონიერი უპირატესობის მოპოვების მიზნით.[47]ფლობენ რა მნიშვნელოვან თნხებს ნაღდი ფულის სახით, დანაშაულებრივი ორგანიზაციები მიმართავენ სახელმწიფოს მაღალი ჩინოვნიკებს, მათ შორის, მინისტრების და მთავრობის ლიდერების მოსყიდვას. ტრანსნაციონალური კორუფცია ბევრ ქვეყანაში ნორმად იქცა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა ბიზნესის მრავალრიცხოვან სახეობათაგან ერთ-ერთია, რომელიც ქრთამს თავისი ინტერესების რეალიზაციისათვის იყენებს. ძნელი წარმოსადგენია, რამდენი იხარჯება თანამდებობის პირთა მოსყიდვაზე, როცა საუბაია დანაშაულებრივ ტრანსნაციონალურ ოპერაციებზე, როდესაც მხოლოდ იარაღით საერთაშორისო არალეგალურ ვაჭრობაზე ყოველწლიურად ქრთამის სახით დაახლოებით 2,5 მლრდ. დოლარი იხარჯება.[48]

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ოპერაციების გლობალურობა დანაშაულის ტრადიციული ორგანიზებული ფორმებისგან მისი განმასხვავებელი ერთ-ერთი აშკარა ნიშანია. ეს ნიშანი განსაზღვრავს საერთაშორისო ტრანსნაციონალური კავშირების სპეციფიკასაც, რომელთა დახმარებითაც ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების დანაშაულებრივი საქმიანობა მსოფლიო გავრცელების ბიზნესს წარმოადგენს.ოპერაციების გლობალურობა შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების ფართო ქსელური სტრუქტურების გარეშე, რომლებიც კონტინენტებზეა გაბნეული, მაგრამ მსოფლიოს მრავალ წერტილში არსებულ ფილიალებთან მდგრადი კავშირების გარდა, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას გააჩნია სტრატეგიული საერთაშორისო კონტაქტებიც, რომლებიც ზოგჯერ სხვადასხვა ტრანსნაციონალური კრიმინალური

[46] http://rus.ruvr.ru/2010/03/15/5295734.html; (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)
[47] Ю.А. Воронин, Транснациональная организованная преступность. Екатеринбург,1997,184
[48] В.Комиссаров -Обсуждение проблемы борьбы с преступностью государство и право 1993. С. 32

ორგანიზაციების უმსხვილეს ალიანსად გარდაიქმნება და ეს ტენდეციაც დანაშაულობის ტრადიციული ორგანიზებული ფორმებისგან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის განმმიჯვნელ ტიპობრივ ნიშნად გვევლინება.[49] ეჭვს გარეშეა, რომ დამნაშავეთა ტრადიციულ ორგანიზებულ ჯგუფებს შესაძლოა ჰქონდეთ საზღვარგარეთული კავშირები, მაგრამ ეს ყოველთვის არ იძლევა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან მისი მიკუთვნების საშუალებას, რადგანაც ასეთი კავშირების სპეციფიკის განსაზღვრის საქმეში მნიშვნეოვან როლს თამაშობს მათი მასშტაბის გლობალურობა.[50]

ასე მაგალითად, ამერიკელი კრიმინოლოგები ტრადიციულ ამერიკულ მაფიას, რომელიც ცნობილია, როგორც "კოზა ნოსტრა", ძველი ტიპის დანაშაულებრივ ორგანიზაციად თვლიან. მიუხედავად იმისა, რომ "კოზა ნოსტრას" წევრები ტრადიციულ სოციალურ პრინციპებზე იყვნენ აღზრდილნი, ეს ორგანიზაცია არასოდეს ყოფილა სოციალური მაფიის იარაღი ან შვილობილი კომპანია. მათ აქვთ საერთაშორისო კავშირები გარკვეულ ქვეყნებშ, მაგალითად ალკოჰოლისა და ჰეროინის მყიდველებთან, მაგრამ არ გააჩნიათ საზღვარგარეთ თავისი ფილიალები, ამის საფუძველზე ვ. ოლსონი და რ. გოდსონი თვლიან, რომ "კოზა ნოსტრას" საქმიანობა არსებითად ნაციონალური და რეგიონულია.[51]

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის გლობალური ქსელები კი (მაგალითად კოლუმბიის კარტელებისა, რომლებიც თავისთავად ვერტიკალურად ინტერირებულ გლობალურ ბიზნესს წარმოადგენენ და რომლებშიც ამოქმედებულია ათეულ ათასობით სპეციალიზებული თანამშრომელი თუ მათთან დაკავშირებული სხვა ადამიანები) უზრუნველყოფენ მობილურობას, ინფრასტრუქტურის ეფექტურ კომუნიკაციას, საერთაშორისო კავშირებს დანაშაულებრივ საწარმოებთან, მათ შორის, ზოგიერთ არაკრიმინალურ ჯგუფებთან, რათა თავისი ანგარებითი მიზნებისათვის გამოიყენონ მათი მომსახურების შესაძლებლობები, ყოველივე ეს ზრდის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის უნარს, შექმნას მომსახურებისა და საქონლის ახალი ბაზრები.[52]

ამას გარდა, ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების საერთაშორისო გლობალური ქსელი უზრუნველყოფს მათ სწრაფ ადაპტაციას ცალკეული ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, თვით ყველაზე მკაცრი ზეწოლის პირობებთან, ასევე უზრუნველყოფს სოციალური კონტროლისათვის თავის იოლად არიდებას. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ამერიკის

[49] Ю.А. Воронин 1997. Транснациональная организованная преступность. Екатеринбург.с 145
[50] http://rus.ruvr.ru/2010/03/15/5295734.html; (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)
[51] Международные финансовые институты начали борьбу с коррупцией. Финансист 1999, N1, с.66
[52] Г. А.Зорин, Танкевич О. В. 1997. Понятие транснациональной преступности. Гродно,с.26

მართლწესრიგის დამცველმა ძალებმა გზა გადაუკეტეს თურქეთში წარმოებული ჰეროინის ნაკადს, ახალმა წყაროებმა მექსიკიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აზიიდან იწყეს დენა. როდესაც კარიბის ზღვის აუზში გადაკეტეს კოკაინის მაგისტრალები, მისმა მიწოდებამ ცენტრალურ ამერიკასა და მექსიკაზე გავლით მოიმატა. გარდა ამისა, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას ხშირად შესწევს უნარი წინ აღუდგეს სამართალდამცავი ორგანოების ლოკალურ ძალისხმევას. სწრაფად ეგუება რა პოლიტიკურ ცვლილელებს ცალკეულ ქვეყნებში, თავისი ინტერესებისათვის იყენებს უთანხმოებას სამართალდამცავი ძალების საერთაშორისო კოოპერაციაში.[53]

[53] Ю.А. Воронин, Транснациональная организованная преступность. 1997,Екатеринбург.с.15

თავი III. ორგანიზებული დანაშაულობის ნიშნები

ორგანიზებული დანაშაულობა დანაშაულობის ერთ-ერთი რთული და საშიში სახეა, რომელიც უპირველეს ყოვლისა ხელყოფს საზოგადების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებს.

საბჭოთა პერიოდში ოფიციალურად მიჩენული იყო, რომ თითქოსდა საბჭოთა კავშირში არ იყო და არც შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდაასეთი სახის დანაშაულობას. ყოველივე ამის გამო იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ გამხდარა შესწავლის საგანი. სახელმწიფოებრივ დონეზე მისი არსებობა პირველად ცნო სსრ კავშირის სხალახო დეპუტატთა საბჭოების მე-2 ყრილბოამ თავის დადგენილებაში "ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ". ამ დროისათვის თეორია და პრაქტიკა მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ სახის დანაშაულობასთან საბრძოლველად. ექსპერტთა შეფასებით, ქვეყნის სამართალდაცვის სისტემა და კანონმდებლობა ამ სახის დანაშაულობასთან ბრძოლას ჩამორჩა 20-25 წლით. [54]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, აუცილებელი ხდება ყურადღების გამახვილება ორგანიზებული დანაშაულობის ცნებაზე, ნიშნებზე, ფორმებსა და სტრუქტურაზე. უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ რომ ჯგუფური დანაშაულოს ცნების სისხლისსამართლებრივი გაგებას იძლევა სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი.[55] ეს მუხლი ოთხი ნაწილისგან შედგება და წერია შემდეგი :1. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაშ წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი; 2. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად; 3. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად; 4. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით,

---

[54] გ. ნაჭყებია და სხვები,ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012, 236

[55] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,თბ.,2021, მუხლი 27.

გათვალისწინებულ შემთხვევაში აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.[56]

ზემოაღნიშნული მუხლის გააზრებიდან აშკარად ჩანს, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ჯგუფური დანაშაულობის ერთ-ერთი სახეა. თვით ჯგუფურ დანაშაულობაში, როგორც ეს აღინიშნა ქ. ნეაპოლის საერთაშრისო კონფერენციაზე 1994 წელს, შეიძლება გამოიყოს სამი ფორმა : 1) ორგანიზებული ჯგუფი;2) დანაშაულებრივი ორგანიზაცია და 3) დანაშაულებრივი კავშირი. ორგანიზებულ ჯგუფს ახასიათებს ის თვისება, რომ მისი ხელმძღვანელი იმავდროულად არ არის ჯგუფის ორგანიზატორი. დანაშაულებრივი ორგანიზაცია ითვლება უფრო ძალისმიერ ფორმად და მისი მართვა შედარებით გართულებულია. აქ დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, როგორც წესი, არ არის კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ორგანიზატორი. აღნიშნულ ჯგუფში ერთი მართავენ ორგანიზაციას, მეორენი სჩადიან კონკრეტულ დანაშაულს, მესამენი ახდენენ დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციას. და სხვა. დანაშაულებრივი კავშირი, კონფერენციის მასალებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულობის უმაღლეს ფორმას. მას გააჩნია პირველი და მეორე ფორმის ნიშნები, უფრო მეტიც, იგი გვევლინება მათი ლიდერების საკოორდინაციო ორგანოდ, კრიმინალური სამყაროს ლიდერები-ხელმძღვანელები ხშირად იკრიბებიან იმისათვის, რომ გადაანაწილონ თავიანთი საქმინობის სფეროები, მოახდინონ დანაშაულებრივი საქმიანობის კოორდინაცია და სხვა.[57] დავუბრუნდეთ ორგანიზებული დანაშაულობის საკითხს. 1991 წელს ქ. სუზდალში, რუსეთის ფედერაცია გაერთიანებული ერების საერთაშორისო კონფერენციაზე ორგანიზებული დანაშაულობა განიმარტა, როგორც დამნაშავეთა მართვადი, მყარი გაერთიაების ფუნქციონირება, რომლებიც სჩადიან კონტროლისაგან დაცვის სისტემას კორუფციის დახმარებით.[58] აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარეობს ორგანიზებული დანაშაულობის სამი ძირითადი ნიშანი.

პირველი ნიშანი-ესაა გაერთიანებული პირების არსებობა დანაშაულთა სისტემატური ჩადენისათვის. მათში შეინიშნება მკვეთრად გამოხატული იერარქია, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, მონაწილეების დაქვემდებარება; მკაცრი დისციპლინა, რაც ეფუძნება სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიერ დადგენილ ქცევის წესსა და მათ ტრადიციებს და რაც ესოდენ დამახასიათებელია საქართველოს დამნაშავეთა სამყაროსათვის. დანაშაულებრივ გაერთიანებაში ძალაუფლების თავმოყრა ხდება ერთი ან რამოდენიმე ლიდერის ხელში, მონაწილეთა რიცხვი

[56] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ.,2021, მუხლი 27

[57]მ. ბაძაღუა, ჯგუფური დანაშაულობა, თბ., 1998,194

[58] ვ. კუდრიავცევი, კრიმინოლოგია, იურისტი, 1995,100

მერყეობს ხუთიდან რამოდენიმე ასამდე და უფრო მეტიც ათას ადამიანამდეც. ესაა საერთო კრიმინოლოგიური წარმოდგენა ორგანიზებული ტიპის დანაშაულებრივი გაერთიანების შესახებ.[59]

ორგანიზებული დანაშაულობის მეორე ნიშანი- ესაა მისი ეკონომიკური მხარე. არსებითად ესაა მისი საყრდენი. კანონის სისტემატური დარღვევა მთავარ მიზნად ისახავს სწორედ გამდიდრებისა და კაპიტალის დაგროვებას. შემთხვევეით არაა, რომ ყველა დანაშაულებრივი გაერთიანებები შექმნილია სამეწარმეო საწარმოების სახით იმისათვის, რომ სისტემატურად ჩაიდინოდ დანაშაულებრივი ქმედებები და მიიღონ დიდი მოგებები. მატერიალური ზიანი, რომელიც ადგება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ცალკეულ მეწარმეებსა და კომერციულ სტრუქტურებს მოიცავს მილიონებითა და მილიარდობით თანხასაც კი. მიღებულ უკანონო მოგებას "ათეთრებენ" როგორც საბანკო ოპერაციების რთული სისტემის მეშვეობით, რომელიც ილექება საზღვარგარეთის ბანკების ანგარიშებში, ასევე უკანონოდ მიღებული თანხების ნაწილს აბანდებენ უძრავ ქონებაში. ფულის გარკვეული ნაწილი, ასევე მიდის დანაშაულებრივი საქმიანობის კვლავ წარმოებაზე ცნობილი ფორმულის ფული- საქონელი- ფულის პრინციპის მიხედვით. ანალიტიკური ცენტრების მონაცემებით, მეწარმეთა შემოსავლების 30% მიდის მაფიის ხელში.[60]

ორგანიზებული დანაშაულობის მესამე ნიშანია კორუფცია. ეს უკანასკნელი აღნიშნავს სახელმწიფო მოხელეების გახრწნას, მათი მოსყიდვის შესაძლებლობას, სხვანაირად თუ ვიტყვით, კორუფცია ნიშნავს თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვას. კორუფცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც გარკვეულ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დაფუძნებულია თანამდებობის პირთა მართლსაწინააღდმეგო და სხვა სახის გარიგებებით, რაც ზიანს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოების ინტერესებს. [61]

ცნობილი გერმანელი კრიმინოლოგი ჰანს იოხამ შნაიდერი გამოჰყოფს ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელ შვიდ განსხვავებულ ნიშანს, ესენი:

1. მოსახლეობის არალეგალურ საქონელზე, მაგალითად, ნარკოიტიკებზე და მომსახურებაზე, მაგალითად პროსტიტუციაზე დაკმაყოფილებას.

2. რაციონალურობა და გეგმაზომიერება, რაც მცირე რისკის გაწევით მსხვილი მოგების მიღებას განაპირობებს;

3. ჯგუფში როლების განაწილება და მკვეთრი გამიჯვნა.

---

[59] ვ. კუდრიავცევი, კრიმინოლოგია, იურისტი, 1995,102

[60]გ. ნაჭყებია და სხვები,ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,252

[61] იქვე,გვ.253

4. იმ მონაწილეთა პროფესიონალიზმი, რომელთაც დანაშაულებრივ სამყაროში მაღალი რეიტინგი გააჩნიათ.

5. ცენტრალური დაქვემდებარება და იერარქიული სტრუქტურების არსებობა(იგულისხმება თითოეული დანაშაულებრივი ჯგუფი და ყოველი სიდიკატი, ასევე მათი ხელმძღვანელობის საერთაშორისო კავშირები სხვა სინდიკატებთან და დანაშაულებრივ ჯგუფებთან.

6. მკაცრი დისციპლინა, რომელიც ჯგუფის მონაწილეთაგან დანაშაულის ოპერაციის შესრულებას მხოლოდ და მხოლოდ ბრძანებისა და მითითებების შესაბამისად მოითხოვს.

7. მათი დანაშაულებრივი საქმიანობის სახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი დევნისაგან ნეიტრალიზება ხელისუფლების სისტემატურად მოსყიდვის გზით.[62]

იტალიელი იურისტის რ. მინის განსაზღვრებით, დანაშაულებრივი ორგანიზაცია არ არის მხოლოდ ბანდა ან იმ პირთა ჯგუფი, რომლებიც ერთად სჩადიან დანაშაულს. იმისათვის, რომ ესა თუ ის ჯგუფი ორგანიზაციად ჩაითვალოს, მას უნდა გააჩნდეს შემდეგი ნიშნები : ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა, სამართალდამცავ ინსტიტუტთა მოქმედების ნეიტრალზიაცია. ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ სამსახურთა გამოყენება. ჯგუფის შიდა სტრუქტურის არსებობა. მოქმედებათა ერთგვარი გარეგანი კანონიერებაც.[63]

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ორგანიზებული დანაშაულობის ნიშანთა ჩამონათვალი საკმაოდ ზუსტად არის შეჯამებული თვით ტერმინში-ორგანიზებული დანაშაული, ეს უკანასკნელი წარმომდგარია სიტყვა "organizo"-საგან და ნიშნავს მწყობრი სახის მინიჭებას, მოწესრიგებას. ორგანიზებული დანაშაულობა, რომ მიცავს ჯგუფური ხასიათის დანაშაულებრივ გამოვლინებებს ამის დასტურია ორგანიზებული ჯგუფის ცნების სოციალურ-ფსიქოლოგიური განსაზღვრებაც, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1 ჯგუფის უნარი დამოუკიდებლად მოახდინოს დასახული მიზნის განხორციელების ეტაპთა დაგეგმვა და მომაცალი საქმიანობის განაწილება თავის წევრებს შორის.

2. ჯგუფის წევრების მაღალის დისციპლინირებულობა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას.

3. ჯგუფის უნდარი ეფექტურად გააკონტროლოს ინდივიდუალური მოქმედებები და განახორციელოს მათი ქმედითი კორექტირება, დათრგუნოს დეზორგანიზაციის გამოვლინებები.

4. ჯგუფის უნარი შედარებით მოკლე ვადაში განაზოგადოს მისი წევრების მიერ შესრულებული სამუშაოები, უზრუნველყოს ურთიერთშემოქმედების განხორციელება საბოლოო მიზნის

[62] G. Iohan Shnaider, criminology, 1994,342

[63] ი. გოძიაშვილი, კრიმილოგოია, თბ., 1998, 167.

ინტერესებიდან გამომდინარე და სხვა.[64]

ვ. ოვჩინსკი და ს. ოვჩინსკი ორგანიზებულ დანაშაულობას განმარტავენ როგორც რთულ სისხლისსამართლებრივ სახეობათა საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ორგანიზაციებისა და სხვა ჯგუფების მიერ ფართო მასშტაბებით და რომელთაც გააჩნიათ შინაგანი სტრუქტურა, რაც უმთავრესად უბიძგებს ფინანსურ მოგებასა და ძალაუფლების შეძენაზე. ეს უკანასკნელი დაკავშირებული უნდა იყოს ბაზარზე აღნიშნული სუბიექტების მიერ მონოპოლიური საქმიანობის დადგენასთან. ირაკლი გოძიაშვილის განმარტების მიხედვით ორგანიზებული დანაშაული არის ეკონომიკურად ორიენტირებული დანაშაულთა მთლიანობის შემცველი ჯგუფური დანაშაულობის ყველაზე საშიში ნაირსახეობა, რომელსაც სჩადიან საიმედოდ კონსპირირებული ხელმძღვანელი ზედაფენის მქონე მყარი, ხანგრძლივი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც ფართოდ იყენებენ ძალადობას, მოსახლეობის დაშინებას, მოსყიდვას, რათა მიიღონ ზემოგება მაღალშემოსავლიანი არალეგალური ბიზნესის სფეროდან, აგრეთვე ლეგალური, მაგრამ არალეგალური საშუალებით განხორციელებადი ბიზნესის სფეროდანაც მისი მომდევნო ლეგალიზაციითა და ლეგალური ბიზნესისა და პოლიტიკის სფეროში მისი შეღწევით.[65]

ამრიგად, თუ ამოვალთ დანაშაულის ზოგადი ცნების გააზრებიდან, მაშინ ორგანიზებული დანაშაულობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც შედარებით მასობრივი, მტკიცე, ირეგულარული საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც გამოიხატება ჩადენილ და ჩადენის პროცესშ მყოფ დანაშაულთა სიმრავლით, რომელსაც სჩადიან დანაშაულებრივი ფორმირებები. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ორგანიზებული დანაშაულობაგანსხვავდება დანაშაულობის ზოგადი განსაზღვრებისგან ისეთი სპეციფიკური ნიშნების არსებობით, როგორიცაა ორგანიზებულობა. საზღვარგარეთის კრიმინოლოგიაში, როგორც უკვე შევნიშნეთ, ორგანიზებული დანაშაულობის ფენომენი განისაზღვრება სხვადასხვაგვარად.[66]

ორგანიზებული დანაშაულობა მის ეკონომიკური ფორმით აღმოჩენილი იყო აშშ-ში და იტალიაში. ამ დროისათვის მისი შესწავლა ხდებოდა ცალკე ორგანიზებული დანაშაულობის პოლიტიკური ფორმისგან. ამგვარი გახლეჩა სავსებით გამართლებული არ იყო, თუმცა აიხსნებოდა ორგანიზებული დანაშაულობის ამ ორი სახეობის სპეციფიკის არსებობით იგულისხმება მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ფორმები, თავისებურებანი და სხვა. სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ განასხვავებს ორგანიზებული დანაშაულობის ამ ორ ნაწილს. ზოგიერთ

[64] Краткий психологический словарь, 1985,с. 219-220

[65] ი. გოძიაშვილი, კრიმილოგოია, თბ., 1998, 179.

[66] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,244

ქვეყანაში, აშშ-ში და იტალიაში, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ხაზს უსვამს ანგარებითი მიმართულების მქონე ორგანიზებული ჯგუფების არსებობას. მაგალითად, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსშ არის ზოგადი ხასიათის მუხლი დანაშაულებრივი ფორმირებების შესახებ სახელწოდებით გაერთიანებები, ანგარებითი დანაშაულის ჩასადეანდ, მუხლი 416-ე.[67] 1993 წელს მიღბულ კანონში მაფიოზური ტიპის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, ხაზი გაესმის იმას, რომ-გაერთიანება ჩაითვლება მაფიოზურად, თუ მასში მონაწილენი სარგებლობენ ძალადობით, დამოკიდებულებისა და დუმილის უფლებით. მაფიოზური ჯგუფები იქმნებიან როგორც დანაშაულთა ჩასადენად, ასევე პირდაპირი ან არაპირდაპირი ხელმძღვანელობისა და კონტროლის დასადგენად ეკონომიკურ საქმიანობაზე, კონცესიებზე, ნებართვებზე, საზოგადოებრივ სამსახურზე, უკანონო მოგებებზე წილის მისაღბად თავისთვის ან სხვა პირებისათვის და ა.შ.[68] ამგვარად, იტალიის კანონმდებლობის მიხედვით მაფიოზური ტიპის დანაშაულებრივი გაერთიანებები მიეკუთვნება ეკონომიკური მიმართულების ორგანიზებულ დანაშაულობას. ასევეა გაგებული ეს საკითხი აშშ-ოს ოგაიოსა და პენსილვანიის შტატების სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვითაც.[69] დასავლეთის კრიმინოლოგიაში მოცემულია ეკონომიკური ორგანიზებული დანაშაულობის სხვადასხვა განსაზღვრა. მაგრამ ყველა ისინი დაიყვანება ორგანიზებულობის მაჩვენებელთა სხვადასხვა ნაერთამდე. ზოგი სპეციალსტი ამ ფენომენს განსაზღვრავს როგორც დანაშაულებრივ მოქმედებათა ერთობლიობას, რომლებსაც სჩადიან ნებისმიერი მტკიცე ჯგუფები, გაერთიანებული დანაშაულის სისტემატური ჩადენისათვის მოგების მიღების მიზნით. სხვებს,კერძოდ, გაეროს ექსპერტებს თავის განსაზღვრებაში შეაქვთ ორგანიზებულობის დამატებითი მაჩვენებელი-დაცვის სისტემის სოციალური კონტროლისაგან.ე .ი. ორგანიზებული დანაშაულობა მათ ესმით როგორც დანაშაულებრივი საქმიანობა ანგარებითი ინტერესებიდან გამომდინარე და დაცვის სისტემის შექმნა სოციალური კონტროლისგან. ვ. ოვჩინსკი ორგანიზებული დანაშაულიბის მაჩვენებლად მიიჩნევს იმ დანაშაულებრივ ფორუმ-კავშრებს, რომლებიც არსებობს სამართალდამცავ და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების მუშაკებსა და თვით ორგანიზებული ჯგუფის წევრებს შორის.[70] ორგანიზებული დანაშაულობა როგოც კრიმინოლოგიური ცნება და სოციალური მოვლენა, უნდა განვასხვავოთ ჯგუფური დანაშაულისაგან, რასაც ითვალისწინებს სსკ 27-ე მუხლი. ამ მუხლის მე-3 ნაწილის

[67] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი,თბ.,2015,132

[68] В. Устинов,Понимание и криминологическая характеристика Организованной преступности. Новгород,1993.,с.10

[69] https://ezekielecortez.com/?gclid=CjwKCAjw47eFBhA9EiwAy8kzNAAlhXP7KRlFrroCDyydvwbR0CJbcZPeaiTeLOtZ0IyCwmi7Oyq_IhoC5-AQAvD_BwE (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[70] В. Овчинский, стратегия борби с мафией,1993.,с.14

თანახმად დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამოდენიმე დანაშაულის ჩასადენად. რაც შეეხება სსკ 223-ე მუხლს აქ ხაზი გაესმის უკანონო შეიარაღებული ფორმირების (ლაშქრის, გაერთიანების, რაზმის ან ჯგუფის) შექმნას ან ხელმძღვანელობას, ხოლო 224-ე მუხლში (ბანდიტიზმი) ლაპარაკია მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნასა და ხელმძღვანელობაზე.[71] თუ გავიაზრებთ ორგანიზებულ და ჯგუფური დანაშაულის ნიშნებს ადვილი მისახვედრი ხდება, რომ ჯგუფური დანაშაულის ყველაზე მძიმე სახეა ორგანიზებული დანაშაული.[72] ორგანიზებულ ჯგუფში მინიმუმ თუ რამდენი ადამიანი უნდა იყოს გაერთიანებული, ამ საკითხზე კანონი სდუმს. მაგრამ თუ ჩვენ ამოვალთ მცირე სოციალური ჯგუფების გაგებიდან, მაშნ ის უნდა იყოს შემდგარი არანაკლებ სამი ადამიანისგან. რამეთუ გაერთიანება ორი ადამინისგან შემდგარი ვერ დახასიათდება ორგანიზებულობით. იტალიისა და აშშ-ის ოგაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულებრივი ჯგუფის მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს 5 ადამიანის რაოდენობით.[73]

საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლისგან განსხვავებით რუსეთი ფედერაციის სს კოდექსის 35-ე მუხლში (დანაშაულებრივი გაერთიანება) მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაული დანაშაულებრივი გაერთიანების მიერ ჩადენილად ჩაითვლება, თუ იგი ჩადენილია მყარი ორგანიზებული ჯგუფიუს მიერ, ან გაერთიანებული ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომელიც შექმნილია მძიმე და განსაკთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად.[74] საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში კი მითითებულია მყარ ორგანიზებულ ჯგუფზე.[75] როგორც ვხედავთ, რუსეთი ფედერაციის 35-ე მუხლი მიუთთებს როგორც მყარ დანაშაულებრივ ჯგუფზე, ასევე დანაშაულებრივ გაერთიანებაზე . ამ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლის პოზიცია უფრო მართებულია, რადგან რუსეთის ფედერაციის 35-ე მუხლის გააზრების შედეგად გაუგებარი ხდება მყარი ორგანიზებული ჯგუფი და დანაშაულებრივი გაერთიანება. საქართველოს 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი ორგანიზებული ჯგუფი მოიცავს მხოლოდ პირთა მყარ ჯგუფს, რომლებიც

[71] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012.255

[72] https://tsulearn.files.wordpress.com/2015/01/e183a2e183a3e183a0e18390e18395e18390e28093e28093e183a1e18398e183a1e183aee1839ae18398e183a1-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e18390.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[73] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[74] http://www.supremecourt.ge/about-job-information/ (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[75] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,თბ.,2021,მუხლი 27

წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. [76] დანაშაულებრივი გაერთიანების სიმტკიცეს როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფენომენს შეიძლება ჰქონდეს რიგი მახასიათებლები, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულებრივ გაერთიანებაში სხვადასხვანაირია. მაგრამ სიმტკიცის აუცილებელ ელემენტს მაინც წარმოადგენს :

1. გაერთიანება დანაშაულთა განუსაზღვრელი რაოდენობის ჩასადენად და განუსაზღვრელად ხანგრძლივი დროით.

2. საკუთარი ნორმების, ქცევის წესების არსებობა რომლებიც არეგულირებენ დანაშაულებრივი გაერთიანების შინაგან ცხოვრებას.

3. მკაცრი შინაგაი დისციპლინა და სანქციები დანაშაულებრივი გაერთიანების სიმტკიცე ხასიათდება როგორც დანაშაულებრივი გაერთიანების წევრების ფსიქოლოგიური ერთიანობით, მკაცრი სტრუქტურული იერარქიით, როლების ფუნქციური განაწილებით, მჭიდრო კონტაქტებისა და კონსპირაციული კავშირების დამყარებით დანაშაულებრივი გაერთიანების წევრებს შორის. ასევე საერთო ამოცანებით, მიზნებით, დანაშაულებრივი შედეგის მიღწევისაკენ. დანაშაულებრივი გაერთიანებაში შეიძლებაშევიდეს რამდენიმე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, გაერთიანებული საერთო დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად. ამგვარ, სახეობათა გაერთიანებებისათვის, გარდა ზემოდასახელებული ნიშნებისა, ნიშანდობლივია გავლენის სფეროების მოპოვებისათვის ბრძოლა. დანაშაულებრივი გაერთიანება განსხვავდება ორგანიზებული ჯგუფისაგან ორგანიზებულობის დონითაც. მის აუცილებელ მახასიათებლებს წარმოადგენს : ა) იერარქიული სტრუქტურა; ბ) დანაშაულებრივი საქმიანობის სპეციალიზაცია; გ) კორუმპირებული კავშირები სამართალდამცავი ან სახელმწიფო ხელისფულების სხვა ორგანიების თანამდებობის პირებთან. გარდა ამისა დანაშაულებრივი გაერთიანებისათვის დამახასიათებელია: 1) სწრაფვა დანაშაულებრივი საქმიანოის სფეროთა გაფართოებისაკენ ;2) სწრაფვა დანაშაულებრივი საქმიანობის სფეროთა მონოპოლიზაციისაკენ; 3) დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სისტემის შექმნა. 4) საერთო ფინანსების ე.წ. "ობშჩიაკების" არსებობა.5) დანაშაულებრივი სამყაროს ნორმებისა და ტრადიციების აქტიური გავრცელება. 6) დამნაშავეთა კადრების გამოზრდა;7) შეიარაღება. [77]

დანაშაულებრივი გაერთიანებები, აღნიშნავს პროფ. ა. ნაუმოვი, კანონის თანახმად, შეიძლება ორი სახისა იყოს. 1) ორგანიზებული ჯგუფები და 2) ორი ან მეტი ორგანიზებული ჯგუფის

[76] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,249

[77] M. Edelbacher,Organisierte Kriminalitat in Europa / Wien: Linde. 1998,178

გაერთიანება. რაც შეეხება ბანდას, განაგრძობს მსჯელობას ა. ნაუმობი, მას ახასიათებს ისეთი ნიშნები, როგორებიცაა : მისი შემადგენლობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სტაბილურობა, მისი წევრების მტკიცე კავშირი, დანაშაულებრივი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების უცვლელობა. ბანდა თავისი სამართლებრივი ფორმით შეიძლება იყოს როგორც ორგანიზებული ჯგუფი, ასევე დანაშაულებრივი გაერთიანება. ბუნებრივია, რო ამ უკანასკნელ შემთხვევაში სიმყარე- ეს უკვე დანაშაულებრივი გაერთიანების მახასიათებელია. მისივე ტქმით ამ დებულების სისწორეს ადასტურებს ბანდიტიზმისა და დანაშაულებრივი გაერთიანების შემადგენლობების შედარებითი ანალიზი. დასკვნა, რომელსაც აკეთებს პროფ. ა. ნაუმოვი, ასეთი: ბანდიტიზმი მოიცავს როგორც ორგანიზებულ ჯგუფს, ასევე დანაშაულებრივ გაერთიანებას, ხოლო რფ სსკ კერძო ნაწილის 210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზაცია არ მოიცავს ბანდის ტიპის დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზაციას.[78] კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში განსხვავებულია არა ორი, არამედ სამი ორგანიზაციული ფორმა. 1) ორგანიზებული ჯგუფი. 2) დანაშაულებრივი ორგანიზაცია და 3) დანაშაულებრივი გაერთიანება. აღსანიშნავია, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაცია დასახელებულ ლიტერატურაში, განსაზღვრულია, როგორც პირების ან ორგანიზებული ჯგუფების ან ბანდების გაერთიანება ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის მონაწილეთა შორის ფუნქციების განაწილებით, სახელდობრ :ა) დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნის ან მისი ხელმძღვანელობის. ბ) დანაშაულთა უშუალო ჩადენის, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით';გ) დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის სხვა ფორმების მიხედვით.[79]

3.1 ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება და კონტროლის განხორციელების ასპექტები

ორგანიზებული დანაშაულობის როგორც შედარებით მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენის წარმოშბის, ყოფილ საბჭოთა კავშირში კრიმინოლოგები უკავშირებდნენ გორბაჩოვის მიერ წამოყენებულ გარდაქმნის პერიოდს. მაგალითად, პროფ. ა. გუროვი, თვლის, რომ ორგანიზებული

[78] https://ppt.ru/kodeks/uk (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)
[79] Уголовный кодекс Российской Федерации.2020,202

დანაშაულობა ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმოიშვა 1966-1982 წლებში.[80] ვ. ლუნეევი, ცნობდა რა ორგანიზებული დანაშაულობის არსებობას სოციალიზმის პერიოდში, აღნიშნავს, რომ იმ წლებში ის იყო გამარტივებული და დაქვემდებარებული ბიუროკრატიულ აპარატზე, რომელიც თვითონ პარაზიტობდა გეგმურ ეკონომიკაზე. იმ წლებში, ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა ჯერ კიდევ ვერ გამოავლინა თავისი ნამდვილი ბუნება. კერძოდ, მისი მასობრიობისა და სიმტკიცის ნიშნები. ორგანიზებული დანაშაულობის ახალ თვისებაში გადაზრდას უნდა მივაკუთვნოთ 1986-1991 წლები.[81] რაც შეეხება სტალინური რეჯიმის დანაშაულებრივ საქმიანობას მას არ შეიძლება ვუწოდოთ ორგანიზებული დანაშაულობა, რადგან ის უფრო ტოტალიტარული დანაშაულობაა, რომლის შედარება შეიძლება ფაშისტური და სხვა დიქტატორული რეჟიმის დანაშაულობასთან მაგალითად, ჰიტლერი, მუსოლინი, ფრანკო, პოლ-პოტა და სხვა. ფორმების მიხედვით გამოყოფენ ისეთ ორგანიზებულ დანაშაულებს, როგორიცაა : პოლიტიკური, ეკონომიკური და საერთო-სისხლისსამართლებრივი დანაშაულობა. თეთრრსაყელოიანთა დანაშაუობის წარმომადგენლები დანაშაულს სჩადიან მოტყუებისა, მათ შორის სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით და მოსყიდვის გზით, ხოლო საერთო-სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩამდენი ჯგუფები იყენებენ მუქარას, შანტაჟს, ძალადობას, მოტაცების ფარულ ხერხებსა და სხვა. [82]

ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით არის სუსტად ორგანიზებული, საშუალოდ და მაღალ დონოზე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები. მარტივ ჯგუფებში არ არის მკაცრი თანაქვემდებარება, მკაფიოდ გამოხატული ლიდერი, ისინი მცირერიცხოვანია (3-4 ადამიანი) და იყენებენ ძირითადად დანაშაულთა ჩადენის ერთი და იმავე ხერხებს. მარტივი ჯგუფების არსებობა დამახასიათებელია კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო ქონების დამტაცებელთათვის, საყოფაცხოვრებო სფეროში მოსაქმე თაღლითებისათვის, ბინის ქურდებისათვის და სხვა. ასეთი ჯგუფების ხვედრითი წილი ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებებში, ექსპერტების შეფასებით, შეადგენს 20%.[83]

ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს ჰყავს აშკარად გამოხატული ლიდერი, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის მოქმედებათა მიმართულებას, გეგმავს დანაშაუთა ჩადენას და ორგანიზებას უკეთებას მათ. ასეთ ჯგუფების რაოდენობრივი შემადგენლობა, როგორც წესი, შეადგენს 5-10

[80] А. Гуров, профессиональная преступность: прошлое и современность. М., 1990,с.207

[81] В. Лунеев, Преступнонсть XX Века Мировой криминологический анализ М., 1999, с.303

[82] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,247

[83] იქვე.გვ.248

ადამიანს და მეტსაც. ამ ჯგუფებს ჯერ კიდევ აქვთ კორუმპირებული კავშირები. მათი წევრები ჩვეულებრივ იპარავენ ავტომობილებს, ანტიკვარულ ნივთებს, სჩადიან ეკონომიკური სახის თაღლითობას, ასევე გამოძალვას, კონტრაბანდასა და სხვა მაღალი დონის ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებებს მიეკუთვნება დანაშაულებრივი გაერთიანებები, რომლებიც ეწევიან თაღლითობას, ნარკობიზნესს, უკანონო მეწარმეობასა და სხვა, მათი რაოდენობა ხშირად აღემატება 10 ადამიანს, ზოგჯერ კი არის ასობით. დანაშაულებრივი გაერთიანებების ორგანიზებულობიდ დონე რა თქმა უნდა უფრო მაღალია, ვოდრე მარტივად ორგანიზებული ჯგუფების. უკანასკნელნი ძირითადად ეწევეიან რეკეტს მცირედ დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც მოშორებულია დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებს. დანაშაულებრივი გაერთიანებები ცდილობენ დაამყარონ კონტაქტი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან. დანაშაულებრივი დაჯგუფებები იქმნება დანაშაულებრივი საქმიანობის მუდმივად ჩადენისათვის. სამართალდამცავ ორგანოებთან კავშირები აქვს თითქმის ყოველ მეორე ჯგუფს. ყველა ჯგუფს გააჩნია ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი. [84]

ვ. რაზინკინი გამოჰყოფს დანაშაულებრივ ფორმირებათა სამ ტიპს :1) უმდაბლესს, 2) საშუალოსა და 3) უმაღლესს. უმდაბლესს ის მიეკუთვნებს დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, მათ შორის ბანდიტური ტიპისას, რაოდენობით 5- დან 20-30 ადამიანამდე, რომლებიც მოქმედებენ ადგილობრივ დონეზე. საშუალო ტიპის- ესაა პირველი ტიპის დანაშაულებრივი ორგანიზაციები, რომლებიც კომერციულ სტრუქტურებთან იმყოფებინა სიმბიოზის მდგომარეობაში. უმაღლესი ტიპი წარმოადგენს პირველი და მეორე ტიპების კონსოლიდირებულ სტრუქტურებს ანუ დანაშაულებრივ გაერთიანებებს.[85]

1997 წელს გამოცემულ რუსული კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში აღნიშნულია, ომ უმდაბლესი და საშუალო დონის დანაშაულებრივი ჯგუფები გავრცელებულია საყოველთაოდ, ხოლო უმაღლესი ტიპის დანაშაულებრივი ფორმირებები- უპირატესად და თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში.[86]

ტერიტორიის მასშტაბების მიხედვით- ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებები შეიძლება იყოს ლოკალური, ერთი ან რამდენიმე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის ფარგლებში, მაგალითად, ვაგზალი, ბაზარი, რეგიონალური, რეგიონთაშორისი და საერთაშორისო.

---

[84] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,255

[85] В. Разинский, Организованная преступность в период реформ в России, М., 1996, с.75

[86] UN Convection against Transnational Organized Crime/ www.unodc.org/unodc/en/.../index.html (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

დანაშაულებრივი ფორმირებებისათვის დამახასიათებელია სპეციალიზაციაც დანაშაულებრივი ბიზნესის გარკვეულ სახეობებში. ყველაზე მკაფიოდ არის გამოხატული სპეციალიზაცია ნარკობიზნეის, რეკეტის, კონტრაბანდის, ყალბი ფულის კეთების, დატაცების სხვადასხვა სახეობების, პროსტიტუციაზე კონტროლის, თაღლითობის, ადამიანებით ვაჭრობის, იარაღის უკანონო გაყიდვის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების გათეთრების, ადამიანის ორგანოებით უკანონო ვაჭრობისა და სხვა გზით.[87]

მონაწილეთა რაოდენობის მხრივ ორგანიზებული ფორმირებები შეიძლება იყოს მცირერიცხოვანი, 3-5 ადამიანი, საშუალო, 6-10 და მრავალრიცხოვანი 10 ზე მეტი. არსებობის ხანგრძლივობის მიხედვით დანაშაულებრივი ფორმირებები იქმნება შეზღუდული და განუსაზღვრელი ვადით. 1989 წლიდან ორგანიზებული დანაშაულობის დინამიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთლიანად დანაშაულობის დინამიკასთან, რომელიც სადღისოდ გაზრდილია 2.5-ჯერ მეტად, ხოლო ორგანიზებული დანაშაულობა 3-ჯერ.[88] ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ გარკვეული ცნობეის შეკრება სამართალდამცავმა აპარატმა დაიწყო 1986 წლიდან. 1986-1988 წლებში გამოვლენილი იყო 2607 დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლებსაც ორგანიზებულობის ნიშნები ჰქონდათ, მათ მიერ ჩადენილი იყო 20 ათასამდე დანაშაული, მათ შორის 218 მკვლელობა და 285 ყაჩაღური თავდასხმა.[89] მათგან 50-მდე ღრმად კონსპირირებული იყო და მოქმედებდა 3 წელზე მეტ ხანს. 1989 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ამ წელს მოხდა რუსეთშ სტატისტიკური აღრიცხვა 1986-88 წლების მონაცემებთან შეფადრდებაში გამოვლენილი ორგანიზებული ჯგუფების რიცხვი გაიზარდა 485-დან 12684-მდე, ანუ თითქმის 27-ჯერ, ჯგუფთა რაოდენობა 4-დან 10 ადამიანამდე, გაიზარდა 10-ჯერ, დანაშაულებრივი საქმიანობის ხანგრძლივობა გაიზარდა 3-დან 6 წლამდე და მეტჯერ, საერთაშორისო კავშირების არსებობა -6-ჯერ, რეგიონთაშორისი კავშირები-32-ჯერ, კორუმპირებული კავშირები-172 ჯერ. ამ დაჯგუფებემა მოაგვარეს დანაშაულებრივი კავშირების შორეული საზღვარგარეთის 39 ქვეყანასთან. კავშირრების 18% არის გერმანიასთამ, 12%-ს აშშ-თან და პოლონეთან, 305% შვეციასთან, ფინეთან, უნგრეთან, ჩინეთთან, კორეასთან, ისრაელთან, ბულგარეთან და სხვა ქვეყნებთან.[90]

მთლიანად ექსპერტების შეფასებით და ოპერატიულ-სამძებრო სამსახურების მონაცემებით ახლა რუსეთში აქტიურად მოქმედებს 6 ათასზე მეტი დანაშაულებრივი დაჯგუფება. მათ შორის ყველაზე

---

[87] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,242

[88] The United Nations and Transnational Organized Crime / Ed. by P.Williams and E. Savona. Portland. Oregon. 1996,71

[89] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,242

[90] Преступность и провонарушение, статистический сборник, М., 1995, с16,41

საშიშია 46 დანაშაულებრივი ფორმირებების საქმიანობა, რომლებიც აერთიანებენ 6,3 ათასზე მეტ აქტიურ მონაწილეს და რომლებიც ეწევიან დანაშაულებრივ საქმიანობას სარეგიონთაშორისო და საერთშორისო დონეზე.[91] გამოვლენილ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვან რიცხვს შეადგენენ დანაშაულებრივი ჯგუფები ჩამოყალიბებული ეთნიკურ ან რელიგიურ საფუძველზე. 1994 წელს გამოვლენილ იქნა 756 ეთნიკური ჯგუფი, ხლო 1995 წელს 800-ზე მეტი. დანაშაულებვი ფორმირებების რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება მათ მიერ ჩადენილ რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვიც. უცხოელი ექსპერტები ორგანიზებული დანაშაულობის ლატენტურ ნაწილს განსაზღვრავენ რეგისტრირებულზე 6-10 ჯერ უფრო მეტად. ასე, თუ 1996 წელს რეგისტრირებულია 26433 ვ. ლუნეევის მონაცემებით და 37388 ს. ვანიუშინის მონაცემებით, მაშინ მთლიანად უნდა იყოს 37388 დანაშაული.[92]

კრიმინალური დაჯგუფებების მიერ ჩადენილი რეგისტრირებული დანაშაულების ხასიათი 80%-მდე და მეტი ეს არის ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, გამოძალვა და სხვა საერთო სისხლისსამართლებრივი დანაშაული, რაც მოწმობს, რომ ადგილი აქვს იმ პროცესს, რასაც ორგანიზებული დანაშაულობის საერთო სისხლისსამართლებრივ და მათ შორის ეკონომიკურ დანაშაულებრივ საქმიანობასთან შეზრდა ჰქვია. უკანასკნელ დროს გამოვლენილ ორგანიზებულ დანაშაულთა დინამიკაც სწორედ ამ ფაქტზე მეტყველებს.[93] საექსპერტო შეფასებით კრიმინალურ ურთიერთობაში ჩათრეულია ყველა კომერციულ სტრუქტურათა 66%, დანაშაულებრივი ფორმირებების მიერ დაწესებულია კონტროლი 35 ათას მეურნე სუბიექტზე, რომელთა შორის 400 ბანკია, 47 ბირჭა, 1.5 ათასი სახელმწიფო საწარმო. მათ მიერ შეწერილია გადასახადი პრივატიზირებულ საწარმოებზე, დაწესებულებებსა და კომერციულ ბანკებზე. ხარკის ოდენობა შეადგენს მიმოქცევაში არსებული თანხების 10-20%-ს. ორგანიზებული დანაშაულიბის მესვეურებთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირში არიან ის მეწარმეები და საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც სჩადიან სხვადასხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებებს, იგულისხმება გადასახადისაგან თავის არიდება, მომხმარებლის მოტყუება, ადამიანის სიცოცხლსიათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია და სხვა.[94]

ორგანიზებული დანაშაულიბის წარმომშობ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებზე სისტემატური ხასიათის კონტროლის დაწესებისა და განხორციელებას შეუძლია დანაშაულებრივი

[91] https://ppt.ru/kodeks/uk (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[92] В. Лунеев, Преступнонсть XX Века Мировой криминологический анализ М., 1999, с.254

[93] გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა,ქუთაისი,2002,143

[94] M. Brock, Miguel De Anda, Rummel Joseph and Calderon Michelle. March 29, 2010; December 2004. The Impact of Transnational Organized Crime A/59/565.

ფორმირებების აღმოცენების თავიდან აცილება. ცხადია, აქვე აღმოცენდება ლოგიკური კითხვა– როგორი უნდა იყოს ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებები და რაუნდა მოიცვას მან? უპირველეს ყოვლისა, გავლენის მოხდენა ორგანიზებულ დანაშაულობაზე უნდა მოხდეს რეფორმების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებით, სახელდობრ : ღატაკი უმრავლესობის საარსებო დონის აწევით, სამეწარმეო საქმიანობის ყველასათვის ხელმისაწვდომობით, მცირე მეწარმეობის განვითარებისადმი არსებითი მხარდაჭერით, მატერიალური წარმოების აღმავლობით, ყურადღების გაძლიერებით კულტურიუსადმი, პოზიტიური ტრადიციების შენარჩუნებისადმი, მიზარდი თაობის აღზრდისადმი და ა.შ.[95]

დემოკრატიულ სახელმწიფოს შეუძლია არსებითად შეამციროს ორგანიზებული დანაშაულობა (როგორც ამას ვთქვათ ადგილი ჰქონდა აშშ–ში და რაც ახლა ხდება იტალიაში), ასევე შეინარჩუნოს მასთან ბრძოლის სტაბილური მდგომაროება.

ორგანიზებული დანაშაულობის პროფილაკტიკის ერთ–ერთ მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის დაუშვებლობა და მკაცრი პასუხისმგებლობის დაწესება ასეთ ქმედებისათვის. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 194–ე მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისათვის, ესე იგი ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემას, მაგრამ ეს ნორმა არ იმუშავებს საეჭვო საფინანსო ოპერაციებსა და სხვა ქონებრივ გარიგებებთან დამოკიდებულებაში კონტროლის გარეშე. ამისათვის კი საჭიროა ვიხელმძღვანელოთ 1990 წლის 8 ნოემბრის ევროპის საბჭოს კონვენციით–დანაშაულებრივ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გათეთრების გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“.[96] ამ დოკუმენტში ხაზი გაესმის იმსაც, რომ გამოძიებას უნდა მიეცეს იმ საგანგებო მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებსაც კავშირი აქვთ ზემოაღნიშნული სახის დანაშაულთან და სხვა. ასეთმა მეთოდებმა შეიძლება მოიცვას იმ სახის დადგენილებები, რომლებიც მიმართული იქნება ამა თუ იმ ანგარიშების გაკონტროლებაზე და მათზე თვალყურის დევნებაზე, ტელეკომუნიკაციურ გადაცემათა ხელში ჩაგდებაზე, კომპიუტერული სისტემების ხელმისაწვდომობაზე, გარკვეული სახის დოკუმენტების ამოღებაზე და სხვა.[97] ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილებაში ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კორუფციასტან ბრძოლას. ეს ბრძოლა, სამწუხაროდ, მოწოდების დონეზეა და ფაქტობრივად არავითარი ქმედეითი ღონისძიებები არ ტარდება მის აღმოსაფხვრელად, ამის

[95] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,267

[96] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1216554?publication=0 (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[97] В. Лунеев, Преступнонсть XX Века Мировой криминологический анализ М., 1999, с.287

დასტურია ისიც,რომ კორუმპირებული მარალი რანგის ჩინოსნები, რომლებიც კონტროლის პალატის მიერ მხილებულნი არიან მილიონობით თანხების მითვისებაში–გაფლანგვაში მიცემული არ არიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში. ორგანიზებული დანაშაულიბის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვანია მოსამართლეების, სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების თანამდებობის პირთა დაცვის უზრუნველყოფის ხარისხის ამაღლება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ის, რომ ძალოვანი და მართლმსაჯულების განმახორციელებელი მუშაკების მიმართ, ხშირად ადგილი აქვს მათ სიცოცხლესა და ჯანმრტელობაზე, პატივსა და ღირსებაზე ხელლყოფას, ასევე შანტაჟს, მუქარასა და სხვა. [98]

ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვანო როლი შეუძლია შეასრულოს დაზარალებულთა, მოწმეთა და სხვა პირთა, რომლებიც ხელს უწყობენ სისხლის სამართლის სასამართლოწარმოების განხორციელებას, დაცვის სახელმწიფო სისტემის შექმნამ და ასევე მატერიალური სტიმულირების ღონისძიებათა დანერგვამ, რომლებიც უდავოდ ხელს შეუწყობს ორგანიზებული დანაშაულობის მხილებისა და გახსნის საქმეს. საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის დაზარალებულთა, მოწმეთა და სამართალწარმოებაში მონაწილე სხვა პირთა დაცვის ყველაზე ეფექტური ღონისძიებანი დადგენილია აშშ–ში. აქ არსებობს არა მხოლოდ შესაბამისი კანონი, არამედ მათი დაცვის პროგრამაც. ორგანიზებულ დანაშაულობათა თავიდან აცილების სპეციალურ ღონისძიებაში წამყვანი როლი ეკუთვნის სისხლისსამართლებრივ, სისხლის სამართლის საპროცესო, ოპერატიულ–სამძებრო, საორგანიზაციო და სასჯელაღსრულებით ღონისძიებებს, რომლებიც მიეკუთვნება სისხლის სამართლის პროფილაქტიკის ქვესისტემას. [99]

მოქმეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სამწუხაროდ, არ არის ისეთი ნორმები, რომლებიც სპეციალურად, რომ ითვალისწინებდეს ორგანიზებულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი საქმეების გამოძიებასა და სასამართლო განხილვის თავისებურებებს. განსახილველი კატეგორიის საქმეები კი უნდა გამოიძიოს მაღალკვალიფიციურმა საგამოძიებო ჯგუფებმა, ხოლო სასამართლოში საქმეები უნდა განიხილოს იმ მოსამართლეებმა, რომლებიც სპეციალიზირებული არიან ამ კატეგორიის საქმეთა განხილვით. ორგანიზებული დამნაშავეობის თავისებურებები მოითხოვენ სპეციალურ ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიებების გატარებასაც, კერძოდ, აქ იგულისხმება : სატელეფონო საუბრების მოსმენა, საფოსტო, სატელეგრამო და სხვა სახის ცნობებზე კონტროლი, ტექნიკური არსების გზით ინფორმაციის მიღება, კონტროლირებადი

[98] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,249

[99] იქვე, გვ. 251

მიწოდება, ოპერატიული შეღწევა, ოპერატიული ექსპერიმენტი, ლეგენდირებულ საწარმოთა შექმნა და სხვა.[100]

ოპერატიული დანერგვა ნიშნავს დანაშაულებრივ გარემოში ოპერატიული მუშაკების ან იმ პირების შეღწევას, რომლებიც კონფიდენციალურად თანამშრომლობენ სამართალდამცავ ორგანოებთან და რომლებიც ახორციელებენ ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობას.

კონტროლირებადი მიწოდება გამოიხატება როგორც მოძრაობის მარშრუტების თავლთვალშ, რომელსაც აკონტროლებენ ოპერატიული მუშაკები, ასევე გარკვეულ საგნებზე კონტროლის განხორციელებაში, ცხადია, დანაშაულთა გამოვლენისა და გახსნის მიზნით.

ოპერატიული ექსპერიმენტი– ესაა ისეთი ვითარებისა და პირობების ხელოვნურად შექმნა და აღდგენა, რამ იმ პირის დანაშაულებრივი ქცევის გამოვლენის საშუალებას იძლევა, რომელიც ამზადებს ან სჩადის დანაშაულს. [101]

ლეგენდირებულ საწარმოთა შექმნა გათვალისწინებულია კანონით „ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობის შესახებ“. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობის ამოცანების გადაწყვეტისას ამ ორგანოებს უფლება აქვთ შექმნან კანონმდებლობით დადგენილი წესით საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და ქვეგანყოფილებები.[102]

ორგანიზებული დანაშაულობის პროფილაქტიკაში, ასევე გარკვეული როლი უნდა შეასრულოს მათი საქმიანობისადმი გამჭირვალეობის პრინციპის დანერგვამ და რეალური კონტროლის სისტემატურმა განხორციელებამ. მათ მიერ უკანონო გზით დაუფლებული ქონება და ფულადი თანხები კი უნდა დაექვემდებაროს კოფისკაციას.

3.2 პასუხისმგებლობა ორგანიზებული დანაშაულისათვის

ორგანიზებული დანაშაულის ცნება და პრობლემა, მისი მრავალმხრიობისა და სირთულის გამო, არსებით შესწავლას მოითხოვს. იმის მიუხედავად, რომ მას მსოფლიოს ზოგიერთი წამყვანი სახელმწიფოს ზოგადი ნაწილის კანონი და დოგმატიკა იცნობს, იგი კვლავ იქცევს მკვლევართა ყურადღებას. მით უფრო არ ყოფილა იგი ყოველმხრივი შესწავლის საგანი საქართველოში.[103]

---

[100] გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა,ქუთაისი, 2002,103

[101] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,258

[102] https://matsne.gov.ge/ka/document/view/18472 (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[103] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,234

ორგანიზებული დანაშაული იურიდიულადაც და ლოგიკურადაც უკავშირდება დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემას, მაგრამ იგი ამ უკანასკნელს არ ემთხვევა. ეს შეიძლება, ასე ვთქვათ, ნეგატიური წესითაც დავადასტუროთ. კერძოდ, საქართველოში დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემას არაერთი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა,[104] მაგრამ, სამწუხაროდ, ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა ამ ნაშრომში სათანადოდ არც დასმულა.მართალია, ორგანიზებული დანაშაულის ცნება და პრობლემა უკვე განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოში,[105] მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ამ პრობლემის კომპლექსურ კვლევას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზებული დანაშაული ერთი ან რამდენიმე ქვეყნის პრობლემა კი არაა მხოლოდ, არამედ, მას ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს. ეს ჩანს იმ ოფიციალური დოკუმენტებიდანაც, როგორიცაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2000 წლის 12 დეკემბრის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მისი დამატებითი ოქმებიდან[106] ადამიანთა ტრეფიკინგისა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ. ამ დოკუმენტებშ განმარტებულია მთელი რიგირ ტერმინებისა, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიზებული დანაშაულის ცნებისა და მისი კრიმინალიზაციის კრიტერიუმების პრობლემათა მართებულ გაგებას. ამ მხრივ, ზოგი რამ გაზიარებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც, ხოლო, ამ კონვენციაში ორგანიზებული დანაშაულის ცნების არსებით ნიშნებს უფრო ვრცლად ამ ნაშრომის თეორიულ ნაწილში შევეხებით. ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ხსენებულ კონვენციაში ვრცლადაა გადმოცემული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე საპროცესო ზომები, მაგრამ ჩვებ ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი ნიშნების დადგენით შემოვიფარგლებით.[107]

1. საქართველოს სისლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილში მოცემულია ორგანიზებული ჯგუფის ცნება მისი რამდენიმე ნიშნის მიხედვით:ა) ჯგუფი დროის განსაზღვრულ პერიოდშია შექმნილი;ბ) იგი მოქმდედებს წინასწარშეთანხმებულად, თუმცა ამ შეთანხმების ხარისხზე მინიშნებული არაა და ამიტომ არის საშიშროება იმისა, რომ ორგანიზებული ჯგუფის ცნება ჩვეულებრივ პირთა ჯგუფის ცნებაში აგვერიოს;გ)ჯგუფი სტრუქტურული ფორმის მქონეა,

---

[104] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965,125

[105] გ. ნაჭყებია, ი. დვალიშვილი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007,197

[106] ო. გამყრელიძე, შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბ., 1998,203

[107]გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,267

რაც თავის მხრივ, ჰგავს დანაშაულებრივ ორგანიზაციის ან გაერთიანებას.[108] ამ უკანასკნელს იცნობს რუსული კანონმდებლობა, მაგრამ ასე გამოკვეთილად არ იცნობს ქართული კანონმდებლობა(საკითხავია: ხომ არ გვხდება საქართველოს საგამოძებო და სასამრთლო პრაქტიკაში ამგვარი დანაშაულის (დანაშაულებრივი ორგანიზაციის ან გაერთიანების) ნიშნები?) დ) ამ ჯგუფის მიზანი შეიძლება იყოს არა მარტო ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენა, არამედ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება (ესე იგი დასადგენია ორგანიზებული ჯგუფის მოქმედების სფერო და ობიექტი (მაგალითად, სსკ-ის 212-ე მუხლის მესამე ნაწილი-ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ). [109] ამავე მუხლის შენიშვნაში, გაეროს ზემოთხსენებული კონვენციის მე-2 მუხლში მოცემული განმარტების შესაბამისად, ნათქვამია, რომ სტრუქტურული ფორმის მქონეა ჯგუფი, რომელიც ჯერ ერთ, არ არის შექმნილი შემთხვევით ან ნაუცბადევად, რაიმე სიტუაციური ვითარების კარნახით, დანაშაულის ჩასადენად (ესე იგი იგულისხმება უფრო მყარი დანაშაულებრივი კავშირი; აქვე ნათქვამია, რომ არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწლებული როლები, მაგრამ მაშნ რით უნდა განვასხვავოთ ორგანიზებული ჯგუფი ე.წ. აუცილებელი თანამონაწილეობისაგან, როდესაც თვით დანაშაულის სპეციფიკა მოითხოვს იმას, რომ ის ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად იყოს ჩადენილი?[110] (მააგალითად, მასობრივი არეულობა- სსკ-ის 225-ე მუხლი),[111] მაგრამ ამ მიმართებით პასუხისმგებლობის საკითხი დანაშაულში თანამონაწილეობის წესით არ წყდება. მეორე მხრივ, ორგანიზებული ჯგუფის ცნებაში როლების განაწილების უგულებელყოფა ეწინააღმდეგება ამავე მუხლის მეოთხე ნაწილს, რომელშიც პირდაპირ არის მითითება ამ ჯგუფის შემქმნელის ან ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაზე, თუმცა ეს საკითხი ასე ცალსახა არაა. [112]

ორგანიზებული ჯგუფის ცნება მუშავდება დანაშაულში თანამონაწილების დოქტრინის საფუძველზე, ხოლო, ეს დოქტრინა, თავის მხრივ, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში განსხვავებულია. ამდენად, აუცილებელი ხდება ანალოგიისა და შედარების მეთოდოლოგიის გამოყენება. მით უფრო, რომ ორგანიზებული ჯგუფის ცნება გულისხმობს დანაშაულის ჩადენას ადამიანთა გაერთიანებების მიერ, მაგალითად, დანაშაულის ჩადენა კორპორაციის (იურიდიული

---

[108]ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლერივი უმართლიბის პრობლემა და თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი,თბ., 1989,192

[109] Н. ТАГАНЦЕВ, русское уголовное право, общая часть, т.1., 2001., с.577

[110] J. Fletcher, Simple examples of nowadays criminal law,2018.s.452

[111] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,თბ.,2021,მუხლი 225

[112]გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012, 252

პირის) ფორმაში, აგრეთვე დანაშაულებრივი ორგანიზაციების მხრივ. ასეთ ვითარებაში სრულიად აუცილებელი ხდება იმის აღნიშვნა, რომ იყო დრო, როდესაც დანაშაულში თანამონაწილეობა განიხილებოდა სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპების თანახმად.[113] კალიფორნიის შტატის (აშშ) სისხლის სამართლის კოდექსის მაგალითზე კი, შეიძლება დავადასტუროთ ე.წ. ეკვივალენტური პასუხისმგებლობის თეორია, რომლის თანახმად, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისას ყველა თანამონაწილე, მათ შორის, დამხმარეც, ამსრულებელია და პასუხისმგებელია დანაშაულის ამსრულებლობისათვის.[114]

ორგანიზებული ჯგუფის ცნება გულისხმობს ორგანიზატორის ან ხელმძღვანელის ცნებას. ამდენად, ეკვივალენტური პასუხისმგებლობის თეორია ორგანიზებული ჯგუფის ცნებას ვერ ჩამოაყალიბებს, მაგრამ რა ხდება, შედარებისათვის, მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში? აქ წინააღმდეგობა ხომ არ იქმნება იმის გამო, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ორგანიზატორის ცნებას საერთოდ არ იცნობს? ისიც აღსანიშნავია, რომ გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი და თეორია (დოგმატიკა) თანამონაწილეობის ფორმებში ორგანიზებული ჯგუფის ცნებას არ გამოყოფს. მაგრამ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ლაპარაკია ტერორისტული თუ შეიარაღებული გაერთიანებების შექმნაზე (მაგალითად, 127-ე და 129-ე).[115] საკითხავია: რატომ არაა აქ ორგანიზატორი? თუ არ არის, მაშინ აღნიშნული გაერთიანება დანაშაულში თანამონაწილეობის ნაირსახეობას არ წარმოადგენს; ანდა სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილებს შორის ამ მიმართებით გარკვეული წინააღმდეგობაა. გერმანულ დოქტრინაში თითქმის გაბატონებული ე.წ. ლიმიტირებული აქცესორობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავარი ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, ხოლო ეს არაა სავალდებულო თანამონაწილეობის ბრალის მიმართს.[116] ამით იმის თქმა უნდათ, რომ აქცესორობა ბრალის მიმართ არ ვრცელდება. მაშასადამე, დანაშაულში თანამონაწილეობა თანაბრალეულობის ცნებას არ ცნობს, მაგრამ ამ დებულებას საკმაოდ სერიოზული გამოცდა ელის. კერძოდ, დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში(სსკ-ის 23-ე მუხლი).[117] თუ განზრახვა ბრალის ფორმაა, მაშინ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისას, მათ შორის ორგანიზებულობაში, ადგილი აქვს განზრახ ერთობლივ მოქმედებას, და, მაშასადამე, თანაბრალეუობას? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ

[113] H., ТАГАНЦЕВ, русское уголовное право, общая часть, т.1., 2001., с.578
[114] J. Fletcher, Simple examples of nowadays criminal law,2018.s.452
[115] https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034 (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)
[116] M. Baurman, Aligemeiner Teil,1995,s.519
[117]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,თბ.,2021,მუხლი 23

მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა წყდება თითოეული თანამონაწილის ბრალის ხარისხის შესაბამისად? საკითხავია : თანაბრალეულობის უარყოფა იმიტომ ხომ არ ხდება, რომ ბრალი და ნეგატიური პასუხისმგებლობა ერთმანეთშია აღრეული?[118]

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის თეორიაში მიღებულია დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი დანაშაულის შემანდგენლობაა.[119] თუმცა, დანაშაულის ცნების რუსულ მოდელში დანაშაულის შემადგენლობა, მისი ოთხი ტრადიციული ელემენტით (ობიექტით, ობიექტური მხრივ, სუბიექტთა და სუბიექტური მხრივ) მთელი დანაშაულია. ამდენად, ამ მოდელში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. იგივე დებულებაა გაცხადებული სსკ-ის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული.[120] დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, სწორი არ არის. ჯერ ერთი, დანაშაული, იურიდიული თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ ითვლება ჩადენილად, თუ იგი დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. ამ მომენტამდე პირი, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, არაბრალეულია. მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში სუბიექტის ბრალის დადგენის გარეშე ნეგატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, როგორც ასეთი, არამედ ბრალი. მითუმეტეს, რომ ბრალი არის პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმა. კერძოდ, პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი("პოზიტიური პასუხისმგებლობა") ბრალის, როგორც "უპასუხისმგებლობის" სინონიმის, საფუძველია, ხოლო ბრალი, თავის მხრივ, ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია.[121]

დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ბრალი, ვრცელდება დანაშაულში თანამონაწილეობაზეც, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის მიმართაც. ამდენად, ლიმიტირებული აქცესორობა, რომელიც თანამონაწილეთა ბრალის მიმართ არ ვრცელდება, ღიად ტოვებს დანაშაულში თანამონაწილების, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულის, პრობლემატიკაში პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემას.

გერმანელი კოლეგები ფიქრობენ, რომ თანამონაწილეობა გულისხმობს განზრახ ქმედებას, მაგრამ

---

[118]გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,195

[119] Курс росиского уголовного права, общая часть, М., 2001., с.161

[120] https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=130 (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[121] გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001,182

არა აუცილებლად ბრალეულს. აქ განზრახვა გაგებულია წმინდა ფსიქოლოგიურად და არა როგორც ბრალის ფორმა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში შეტანილია განზრახვა, მაგრამ მართლსაწინააღმდეგო შენების გარეშე, რადგან, ამ სტრუქტურაში ქმედების მართლსაწინააღმდეგო ადგილი დადგენილია განზრახვის შემდეგ.[122] მაგრამ ამ მიმართებით "განზრახვა" გამოყენებულია ისეთ ასპექტშიც, როცა იგი ბრალის ფორმის როლში გამოდის(მაგალითად, როცა წაქეზებულმა დანამდვილებით იცის მისი წამქეზებლის მოქმედების მართლწინააღმდეგობის გარემოებანი.[123] საკითხავია : თუ განზრახვა ბრალის ფორმა არაა, მაშინ საიდან მიიღება ბრალი? უფორმო შინაარსი ან უშინაარსო ფორმა შეუძლებელია.

ცმობილია, რომ "ფინალიზმში" განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ქმედების ფსიქიკურ ელემენტებს. ამ პოზიციიდან კი, როგორც თავის დროზე სწორად შენიშნა რ. ბუშმა, შეუძლებელია, ჯერ ერთი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, და, მეორეც, დანაშაულში თანამონაწილეობა. მართლაც, თუ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებს კი არა, ქმედების ფსიქიკურ ელემენტებს წარმოადგენს, მაშინ საქმე ეხება არაიურიდიულ, ფაქტობრივ, ფსიქოლოგიურ ვითარებას. ამ პოზიციიდან კი დანაშაულის მომზადება და მცდელობა, როგორც იურიდიული პრობლემა, შეუძებელია. მით უფრო შეუძლებელია ამ პოზიციიდან დანაშაულში თანამონაწილეობის, როგორც იურიდიული პრობლემის, მეცნიერული ანალიზი. კერძოდ, ცნობილია, რომ თანამონაწილეობა დანაშაულში, თავისი ბუნებით, აქცესორულია, ესე იგი, დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. განზრახვის, როგორც ბრალის ფორმის, უარყოფით უარყოფილია დანაშაულში თანამონაწილეობის იურიდიული ხასიათი და აღიარებულია დანაშაულში ფაქტობრივი მონაწილეობა.[124] ამ პოზიციიდან კი, მაგალითად, შუალობითი ამსრულებლობა შეუძლებელია, რადგან ის, ვინც გამოყენებულია დანაშაულის ჩადენის იარაღად, ესე იგი, შეურაცხადი, ფაქტობრივი თანამონაწილეობის ლოგიკით, დანაშაულის ამსრულებელი აღმოჩნდება, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. იურიდიული აზროვნების წესის მიხედვით კი, შუალობითი ამსრულებელია შერაცხადი პირი, რომელმაც დანაშაულის ჩადენის იარაღად გამოიყენა შეურაცხადი პირი, ან პირი, რომელიც განზრახ შეიყვანა შეცდომაში და მას გაუფრთხილებლობით ჩაადენინა დანაშაული. მაშასადამე, ფაქტობრივი წამქეზებელი, ესე იგი, ის, ვინც დანაშაულის ჩასადენად გამოიყენა შეურაცხადი, იურიდიულად ამსრულებელია, ხოლო

[122] А. Жаленский, Современное немецкое уголовное право, М., 2004., с.281

[123] იქვე,გვ.282

[124]გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,264

ფაქტობრივად ამსრულებელი იურიდიულად დანაშაულის ჩადენის იარაღია. ამრიგად, მართალია, ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა, როგორც შემდგომაც დავინახავთ, დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემას არ ემთხვევა, მაგრამ მისგან მოწყვეტილიც არაა. [125]

საინტერესოა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ აგენტ-პროვოკატორის ოპერატიულ-სამძებრო ასპექტით გამოყენების პრობლემა და დანაშაულის პროვოკაცია. სსკ-ის 145-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის პროვოკაციისათვის. ამ შემთხვევაში ფაქტიურად წამქეზებელი, ანუ, პროვოკატორი იურიდიულად ამსრულებელია პროვოკაციისა, რათა პირს დანაშაული მისი მხილების მიზნით ჩაადენინოს.[126] ცხადია, პროვოკატორი მის მიერ ფაქტობრივად წაქეზებული დანაშაულის თანამონაწილე ვერ იქნება. სულ სხვაა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ აგენტ-პროვოკატორის გამოყენების (ორგანიზებული ჯგუფის წევრთა მხილების მიზნით) პრობლემა, რომელიც საკმაოდ რთული და რისკიანია.გამოსარკვევია, იყენებენ თუ არა მას საქართველოს საგამოძიებო პრაქტიკაში? ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა უკავშირდება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემას. ამის შესახებ მითითებულია კიდევ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს ზემოთხსენებულ კონვენციის მე-10 მუხლში.[127] ჯერ ერთი, გამორიცხული არაა ორგანიზებული ჯგუფის შექმნა იურიდიული პირის ფორმაში; მეორეც, არაა გამორიცხული დანაშაულში იურიდიული პირების მონაწილეობაც ორგანიზებული დანაშაულის ფორმით. ამდენად, ეს პრობლემაც გამოსარკვევია საქართველოს საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის მიხედვით. ორგანიზებული დანაშაულის ცნება და პრობლემა პირდაპირ კავშირშია დანაშაულის მატერიალური განსაზღვრების პრობლემასთან. იგულისხმებ აქმედების საზოგადოებრივი-სოციალური საშიშრობის ცნება. მაგალითად, დიდ ბრიტანეტში დანაშაულში თანამონაწილეთა დაყოფას ამსრულებლისა და დამხარის სახით ადგილი აქვს ფელონიის მიმართ, ხოლო, ღალატის ქმედება იმდენად საშიშია, რომ ამ ქმედებაში ყველა თანამონაწილე განიხილება, როგორც ამსრულებელი.[128]

ორგანიზატორის ცნება, აც დიდი ბრიტანეტის კანონმა და დოგმატიკამ, როგორც ჩანს, არ იცის და, მაშასადამე, აქ ორგანიზებული დანაშაულის ცნებაც რთულია. რაც შეეხება იმას, რომ ღალატის

---

[125] R. Busch, Moderne Wandlungen der Verbrechenslehre, Tubingen, 1949,234

[126] https://achijavaxa.wixsite.com/tsulawyers/blank-5 (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[127] პრობლემები და საშიშროება, რომელთაც ქმნის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. მინისტრების დონეზე ჩატარებული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენციის ცნობარი. ნეაპოლი, 21-23 ნოემბერი. 1994. E/CONF. 88/2. 1994. 18 Aug.

[128] Угаловное право зарубежник государство, общая часть, М., 2001, с.73

მაღალი საშიშროება ფაქტობრივად დამხმარესაც კი იურიდიულად ამსრულებელს უთანაბრებს,- უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ. სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით პოზიცია საკმაოდ ბუნდივანია, ჯერ ერთი, სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში დანაშაულის ცნება განმარტებულია წმინდა ფორმალურად, როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მართალია, ამავე ამავე მუხლის ნაწილში მეორე მნიშვნელობის ქმედება დანაშაულად არ ითვლება, ესე იგი, თითქოს აღიარებულია დანაშაულის სოციალური საშიშროება, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედება მაინც დახასიათებულია, როგორც მართლსაწინააღმდეგო. მაგალითად, ბრალის ფორმების საკანონმდებლო განსაზღვრებებში, როგორიცაა სსკ-ის მე-9 და მე-10 მუხლები და საზოგადოებრივი თუ სოციალური საშიშროების ცნება ნახსენებიც არაა. მეორე მხრივ, დანაშაულის კატეგორიზაცია, როგორიცაა სსკ-ის მე-12 მუხლი) ხდება ქმედების სიმძიმის მიხედვით, რადგან მართლსაწინააღმდე, გობას როგორც ქმედებას უარყოფით სამართლებრივ შეფასებას, ხარისხები არ აქვს. ქმედების სიმძიმე კი, მისი სოციალური საშიშროებისგან მოწყვეტით, არ არსებობს. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ორგანიზებული დანაშაულის ცნების გამოყენების საზრისიც.[129] მაგალითად, სსკ-ის 323-ე მუხლის მეორე ნაწილი "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ტერიტორიული აქტი შეიძლება ჩადენილ იქნეს ჯგუფურად. ჯგუფური დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში, რომლის მესამე ნაწილში აღწერილია ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები, ამდენად იგულისხმება, რომ ტერორისტული აქტი შეიძლება ჩადენილ იქნეს ორგანიზებული ჯგუფის მიერაც. მაგრამ ეს ლოგიკური თანამიმდევრობა ყოველთვის დაცული არაა. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ქურდობა შეიძლება ჩადენლ იქნეს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ხოლო ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით კი, ქურდობა შეიძლება ჩადენილ იქნეს ორგანიზებული ჯგუფის მიერაც.[130] ამ შემთხვევაში "ორგანიზებული ჯგუფი" პასუხისმგებლობას უფრო ამძიმებს და ამიტომ ქურდობა ამ ვითარებაში, უფრო საშიშია, ვიდრე ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. მაშასადამე, დანაშაულის ცნების ფორმალური განსაზღვრება (სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი) ორგანიზებული დანაშაულის ცნებას, ისევე, როგორც მთელი რიგი სხვა დანაშაულის, მაგალთად, ყაჩაღობის ცნებას (სსკ-ის 179-ე მუხლი) არ შეესაბამება.[131]

---

[129] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,თბ.,2021, მუხლი 12
[130] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,თბ.,2021,მუხლი 177
[131] https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=130 (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა კიდევ უფრო გაღმავდება მისი ცალკეული გამოვლინებების სპეციფიკიც (მაგალითად, ტრეფიკინგის, ფულის გათეთრების, ე.წ. ქურდული სამყაროს) კვლევის შედეგად. მით უგრო რომ ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა გამოკვლეული იქნება სისხლის სამართლის პროცესის პოზიციებიდანაც, რაც ამ პრობლემას უფრო კომპლექსურად წარმოაჩენს.

ორგანიზებული დანაშაულის პრობლემატიკაში ერთ-ერთი აქილევსის ქუსლია ამ დანაშაულებრივ ფორმაში ქმედების შემადგენლობის განხორციელების თავისებურების დადგენა. ამ საკთხზე მსჯელობა საკმაოდ რთულია. ჯერ ერთი, თუ წინასწარ არაა შემუშავებული ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები, ამ დანაშაულების ჩადენის მექანიზმს სწორად ვერ წარმოვაჩენთ. მეორე მხრივ, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მექანიზმის გაგების გარეშე ორგანიზებული დანაშაულის ბუნების წარმოჩენა შეუძლებელია.[132] აქ, როგორც ჩანს, ლოგიკურ წრეში ვექცევით, რაც საზოგადოდ დამახასიათებელია კვლევის საგნისა და მეთოდის თანაფარდობისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა პროფ. ბ. ხარაზიშვილის (ხორნაბუჯელის) დებულება, რომ დანაშაულის ფსიქოლოიგურად ქცევა კი არაა, არამედ ფსიქოლოგიური ქცევის, ანუ, მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია.[133] ამ პოზიციიდან გამოსაკვლევია ორგანიზებული დანაშულებრივი ჯგუფის წევრთა მოტივაციის და მიზნის პრებლემები. ეს პრობლემატიკა, თავის მხრივ, გადაჯაჭვულია ქმედების შემადგენლობის პრობლემატიკასთან. კერძოდ, დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა კი არ ხდება, არამედ ხორციელდება ქმედების კონკრეტული შემადგენლობა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა დანაშაულის ჩადენის ხერხი.მაგალითად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ანუ, ქურდობა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების ფარული ხერხია.[134]

როგორც ჩანს, ქმედების შემადგენლობის პრობლემა, მით უფრო რთულია. მაგრამ, ამ მხრივ, საქმეს გვიადვილებს უმართლობის ცნება, რადგან, სისხლისსამართლებრივი უსამართლობა, იმის მიუხედავად, თუ როგორია ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეთა ქცევის მოტივები, ამ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური და ერთიანი საფუძველია. ორგანიზებული დანაშაულის კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს, შევიმუშავოთ ამ მიმართებით საკანონმდებლო წინადადებანი, რომელნიც შეეხება როგორც სისხლის სამართლის ზოგად, ისე კერძო ნაწილს; არაა გამორიცხული საკანონმდებლო წინადადებანი როგორც სისხლის

---

[132] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012, 257

[133] Б. Хорнабужели, Психологическая сторона вина, тб., 1981, с.6.

[134] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

სამართლის პროცესის, ისე სასჯელაღსრულებითი სამართლის ასპექტით. გარდა ამისა, ამ მიმართებით შევიმუშაოთ ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის წესები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ მხრივ საქმეზე როგორც ჭეშმარიტების დადგენას, ისე ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციის მიღწევას. ბოლოს, ორგანიზებული დანაშაულის ღრმა მეცნიერული კვლევა საშუალებას მოგვცემს, რიგი თეორიული საკითხი და ტრადიცია გადაისინჯოს და ახლებურად დადგეს სისხლის სამართლის მეცნიერების რიგი ფუნდამენტური საკითხი.[135]

ორგანიზებული დანაშაულის ცნება განსაკუთრებულად რთულია და ამიტომაც, იგი დღემდე სრულყოფილად არაა მოპოვებული. კერძოდ, ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედება საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურად, ჯგუფური ქცევის ფსიქოლოგიური კანონზომიერების მიხედვით. განსხვავებულია ამ მხრივ სოციალური ფსიქოლოგიის მიზნები და ამოცანები, რამდენადაც ამ მიმართებით საქმე შეეხება ფსიქიკის სოციალურშ გარდაქმნის პრობლემას. ჯგუფი, როგორც ცნობილია, გარკვეული სოციალური უჯრედია, მაგრამ აქ თავისებურია ამ ჯგუფის ფსიქიკური კავშირ-ურთიერთობანი, ჯგუფის წევრთა ერთმანეთზე გავლენის თავისებურები, ე.წ. განწყობის ფსიქიკური და სოციალური ერთიანობა, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის სპეციფიკური სფეროა. [136]

ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება შესწავლილ იქნეს წმინდა სოციოლოგიურადაც, როგორც გარკვეული სოციალური უჯრედი, რომელიც საზოგადოების სხვა სოციალური სტრუქტურის ფონზე და მიმართებაში იაზრება. ეს ბუნებრივია, რადგან ამ ასპექტით იგულისხმება ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედების სოციალური მიზეზები და შედეგები. მით უმეტეს, რომ ერთი რომელიმე დანაშაულებრივი ჯგუფი სხვა ანალოგიური დაჯგუფებისაგან მოწყვეტით შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით ლაპარაკია დანაშაულებრივ დაჯგუფებაზე თუ გაერთიანებაზე, რომელთა ზომა და საქმიანობის მასშტაბი თვით საზოგადოები და მასზე აგებული სახელმწიფოს ზომასა და მასშტაბზეა დამოკიდებული. ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება შესწავლილ იქნეს კრიმინოლოგიურადაც, რამდენადაც ამ იგულისხმება სისხლის სამართლის და სოციოლოგიის გადაკვეთაზე არსებული სპეციფიკური პრობლემები. არ არის შემთხვევეითი, რომ ორგანიზებული დანაშაულის არაერთი კრიმინოლოგიური გამოკვლევა

[135] გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა,ქუთაისი,2002, 253

[136] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012, 267

არსებობს.[137] გასაგებია, რომ ამგვარი მრავალწახნაგოვანი მოვლენის ერთ ზოგად ცნებაში ჩამოყალიბება ძალიან რთულია და მას გარკვეული სამუშაო ჰიპოთეზის დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს. საქმე ისაა, რომ ორგანიზებული დანაშაულის ცნება სრულყოფილადაც რომ იყოს მოპოვებული, მას მაინც არ შეუძია საბოლოოდ გადაწყვიტოს კანონმდებლის ამოცანა. კერძოდ, ორგანიზებული დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობათა შექმნისათვის ორგანიზებული დანაშაულის ცნება, საკმარისი არაა. მაგალითად, არსებობს მკვლელობის ცნება, როგორც სხვა ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღდეგო და განზრახი მოსპობა.[138] მკვლელობის აღნიშნული ცნება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ კანონმდებელმა მკვლელობის შემადგენლობების შექმნაზე იფიქროს. მაგრამ, ერთია მკვლელობის ცნება და სხვაა მკვლელობის კონკრეტული შემადგენლობანი, რომელთა რაოდენობა სისხლის სამართლის კერძო ნაწილში საკმაოდ ბევრია. კერძოდ, არსებობს მკვლელობის მარტივი შემადგენლობა სსკ-ის 108-ე მუხლი, რომელსაც თან არ ახლავს მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებანი. მკვლელობის ამ შემადგენლობის განხორციელებაც კი არაა ერთნაირი. ერთ შემთხვევაში ის ხორციელდება ეჭვიანობის ნიადაგზე, მეორეში- შურისძიების, მესამეში- სისხლის აღების, მეოთხეში- ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე. [139]

სულ სხვაა ამ მხრივ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებები სსკ-ის 109-ე მუხლი, რომლებიც ამ სახის მკვლელობის ცალკეულ შემადგენლობებს წარმოადგენენ. და ბოლოს, დავას არ იწვევს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ცალკეული შემადგენლობანი. მკვლელობის, როგორც დანაშაულის, და მკვლელობის ცალკეული შემადგენლობების ეს მოკლე შედარებითი ანალიზი იმისათვის დაგვჭირდა, რომ ის გარკვეულწილად გვეხმარება საზოგადოდ დანაშაულის ცნებისა და მისი შემადგენლობის ცნების გამიჯვნის საქმეში. კერძოდ, დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა კი არ ხდება, არამედ ხორციელდება დანაშაულის რომელიმე კონკრეტული შემადგენლობა. მაგალითად, თუ მკვლელობის, როგორც კონკრეტული დანაშაულის, ჩადება კი არ ხდება, არამდედ ხორციელდება მკვლელობის რომელიმე შემადგენლობა, მით უფრო შეუძლებელია დანაშაულის ზოგადი ცნების სსკ-ის მე-7 მუხლის პრაქტიკული განხორციელება.[140] როგორც ჩანს, ორგანიზებული დანაშაულის ცნება საჭიროა იმისათვის, რომ კანონმდებელმა ორგანიზებული დანაშაულის ცალკეული

---

[137] ზ. წულაია, კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბ.,2005, 152

[138] თ. წერეთელი, კრიმინოლოგია,თბ., 2005,163

[139]გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012, 262

[140] მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია,თბ., 2010

შემადგენლობების შექმნაზე იზრუნოს, მაგრამ ორგანიზებული დანაშაულის ცნება ამ სახის დანაშაულთა საკანონმდებლო შემადგენლობების შესაქმნელად, როგორც უკვე ითქვა, საკმარისი არ არის. საჭიროა ორგანიზებული დანაშაულის ცალკეულ გამოვლინებათა შესწავლა და ანალიზი, რათა ამ ტიპის დანაშაულის თითოეული შემადგენლობა მაქსიმალურად იყოს მიახლოებული მისი ჩადენის შესაძლებლობასთან. ეს არსებითად დამოკიდებული კანონმდებლის უნარზე, ზუსტად დაახასიათოს ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედება მისი ტიპური ნიშნების მიხედვით. მეორენაირად რომ ვთქვათ, საქმე ეხება სისხლის სამართლის კანონმდებლის პრობლემას.[141] ამ მიმართებით "შემოქმედება" სავსებით გამართლებულია, რადგან არსებობს ხელვნებისა და სამართლის მთელი რიგი ანალოგიური ნიშნები. თუ მხატვრული შემოქმედების ცნება დავას არ იწვევს, მაშინ არც კანონშემოქმედების ცნება უნდა იყოს უსაფუძვლო. აქ მოკლედ ვიტყვით, ტომ მხატვრული სახე და სამართლის ნორმა მთელი რიგი ანალოგიური ნიშნით ხასიათდება. თუ მეცნიერებაში ერთის მეცნიერული იდეა შეიძლება განავითაროს მეორემ, მხატვრულ შემოქმედებაში ეს შეუძლებელია, რადგან ამ სფეროში ავტორი იმდენად პერსონალურია, რომ აქ ერთის მხატვრულ იდეას მეორე ვერ განავითარებას. ლადო გუდიაშვილის თუ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას სხვების მიერ განვითარება შეუძლებელია. ანალოგიურად, სისხლის სამართლის სფეროში ავტორი არის კანონმდებელი და მხოლოდ მას შეუძლია არა მარტო შექმნას სისხლის სამართლის კანონი, არამედ ცვლილებები და დამატებანი შეიტანოს მასში.[142] არავის სხვას, გარდა კანონმდებლისა, ამ საქმიანობის დადგენილი წესით განხორციელება არ შეუძლია. მეორეც სამართლის ყოველი ნომრ, ისევე როგორც ყოველი მხატვრული სახე, ინდივიდუალური და განუმეორებელია, თუმცა ანალოგიური ხასიათის ნორმები ხშირია. მესამე, მხატვრული შემოქმედება სინამდვილის შემეცნების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ამ შემოქმედებაშ მთავარია სინამდვილისადმი ღირებულებითი დამოკიდებულება, ამ სინამდვილის ის შეფასება, რომელიც მხატვრულ სახეში გამოიხატება. ანალოგიურად, კანონმდებელი კანონის შექმნას სინამდვილის შემეცნებით, ანუ, ქმედების შემადგენლობის შექმნით კი არ იწყებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმის შეფასებით, თუ როგორია ის ქმედება, რომელიც კრიმინალიზაციის ობიექტი ხდება. მით უფრო, რომ კანონმდებელმა ქმედების სამართლებრივი შეფასება მართლწინააღმდეგობის მეშვეობით უნდა გამოხატოს. მაგრამ მან კრიმინალიზაციის აქტის სრულყოფილად განხორციელებისათვის ქმედების საზოგადოებრივი შეფასებაც უნდა გამოიყენოს. კერძოდ,

[141]გ. ნაჭყებია და სხვები,ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,253

[142]იქვე, გვ. 254

ქმედების საზოგადოებრივი შეფასება იმას ნიშნავს, რომ ის არის საზოგადოებისთვის საშიში, ხოლო მისი ოფიციალური წესით კრიმინალიზაციის შედეგად იგი ფასდება, როგორც მართლსაწინააღმდეგო.[143]

ამრიგად, ორგანიზებული დანაშაულის ცნებისა და კრიმინალიზაციის შესახებ პრობლემის ეს მოკლე მონახაზიც კი ადასტურებს, რომ დასმული პრობლემა განსაკუთრებით რთულია, მაგრამ ამ პრობლემას კიდევ უფრო ართულებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს ზემოთდასახელებული კონვენციის რამდენიმე დებულება, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის კრიმინალიზაციის კრიტერიუმებს შეეხება. ასევე განვიხილავ ორგანიზებული დანაშაულის კრიმინალიზაციის კრიტერიუმებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს 2000 წლის 12 დეკემბრის კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით.[144] აქ, პირველ რიგში, დასახელებულია ზოგიერთი განზრახ დანაშაული, მისი მცხდელობის ან ფაქტობრივად ჩადენის მიუხედავად, თუ : არ შედგა შეთანხმება ერთ ან რამდენიმე პირთან მძიმე დანაშაულის ჩსადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, თუ ამას ითვალისწინებს შიდა კანონმდებლობა; იგულისხმება ერთ-ერთი მონაწილის მიერ რაიმე ქმედების ფაქტობრივი განხორციელება ამ შეთანხმების რეალიზაციისათვის, ანდა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობა; ბ) განხორციელდა ქმედება, როცა სუბიექტი აცნობიერებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანს ან საერთო დანაშაულებრივ საქმიანობას, ან ჯგუფის განზრახვას, ჩაიდინოს შესაბამისი დანაშაულები, თუ იგი ამასთან აქტიურ მონაწილეობას იღებს ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობაში, ან ორგანიზებული ჯგუფის სხვა საქმიანობაში, იმის გაცნობიერებით, რომ მისი მონაწილეობა ხელს შეუწყობს დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას; გ) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით ჩადენილი მძიმე დანაშაულის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა.[145] როგორც ვხედავთ, აქ ორგანიზებული დანაშაულის კრიმინალიზაციის რამდენიმე ნიშანია გამოკვეთილი, მაგრამ ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ქმედების აკრძალვისათვის საკმარისია ერთ ან რამდენიმე პირთან დანაშაულის ჩადენის შესახებ შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, იმის მიუხედავად, ჩადენილია თუ არა გამიზნული დანაშაული ან მისი მცდელობა. ისიც საყურადღებოა, რომ აქ ხაზგასმულია საკითხი დანაშაულის ჩადენის შესახებ იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს დანაშაულებრივი ჯგუფის

[143] გ. ნაჭყებია და სხვები,ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,259

[144] მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია,თბ.,2010, 52

[145] გაეროს გენერალური მდივნის ჩანაწერი, 2 დეკემბერი, 2004A/59/56.

მიზანს, ან ამ უკანასკნელის განზრახვას, ჩადენილ იქნეს დანაშაული. ბოლოს, ორგანიზებული ჯგუფი, კონკრეტულ შემთხვევაში, უშუალოდ შეიძლება არც მონაწილეობდეს დანაშაულში, მაგრამ მონაწილეობდეს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობაში, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას. მოკლედ რომ ვთქვათ, აღნიშნული კონვენცია სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, მოახდინონ კრიმინალიზაცია დანაშაულის ჩასადენად პირთა ჯგუფის შეთანხმების მომენტიდან, აგრეთვე დანაშაულის ჩადენისათვის ხელშეწყობად ჩათვალონ ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობა რაიმე სხვა საქმიანობაში, მაგალითად, დანაშაულის ჩასადენად რაიმე ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში (მაგალითად, ე.წ. "კანონიერი ქურდების " თავყრილობაში მონაწილეობა მათი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის ეფექტური ხერხების შემუშავების ან სხვა ტაქტიკური საკითხების გადაჭრის მიზნით).[146]

გარდა ამისა, ამ კონვენციიდან გამომდინარეობს, რომ ორგანიზებული დანაშაული დანაშაულის თანამონაწილეობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ამ კონვენციის მე-5 მუხლის ერთ-ერთი ქვეპუნქტის მიხედვით, კრიმინალიზაციას ექვემდებარება ორგანიზებული ჯგუფის ფორმაში მძიმე დანაშაულის ორგანიზება. აქ, როგორც ჩანს, ლაპარაკია დანაშაულის ორგანიზატორზე, თუ ამ ცნებას რუსული და ქართული სისხლისსამართლებრივი ტრადიციების მიხედვით გავიგებთ; აქვე საუბარია ორგანიზებული დანაშაულის ფორმაში მძიმე დანაშაულის ჩადენის ხელმძღვანელობაზეც, წაქეზებაზეც და დახმარებაზეც. აქ გამოყენებულია ტერმინი ხელშეწყობა, რომელიც თითქოს დახმარების სინონიმია, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ დახმარება ცალკეა გამოყოფილი? ყოველ შემთხვევაში, აქ გამოყენებული ტერმინები : მძიმე დანაშაულის ჩადენის ორგანიზება, ხელმძღავანელობა, წაქეზება და დახმარება, როგორც წესი, დანაშაულში თანამონაწილეობაზე მიანიშნებენ.[147] ყოველივე ეს კი, ფრიად სერიოზულ სიძნელეს ქმნის, რადგან ორგანიზებული დანაშაული, თუ ის ჩვეულებრივ ჯგუფურ დანაშაულში არ აგვერევა, დანაშაულში თანამონაწილეობის ტრადიციულ ფორმებს არ ემთხვევა. მით უმეტეს, თუ ორგანიზებული დანაშაული სტრუქტურული ფორმის მქონეა. როგორც შემდგომ დავინახავთ, ორგანიზებულ დანაშაულში, სულ მცირე, ორი სტრუქტურული დაყოფა მაინც უნდა იყოს, იმ ანგარიშიტ, რომ ამ ორი სტრუქტურული დანაყოფიდან კონკრეტული დანაშაული ერთმა მაინც ჩაიდინოს. ხსენებული კონვენციის მე-2 მუხლში, ტერმინთა განმარტებისას, ნათქვამია, რომ ორგანიზბეული ჯგუფი ნიშნავს სტრუქტურული ფორმის მქონე, სამი ან მეტი პირისგან შემდგარ

[146] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012, 202

[147] Уголовная юстиция: Проблемы международного сотрудничества. Международный научно-исследовательский проект. М., 1994. С. 233.

ჯგუფს.[148] ცხადია, სამი კაცისგან შემდგარი ჯგუფი, თუ ის დამოუკიდებლად მოქმედებს, სტრუქტურული ფორმის მქონედ არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, იგი შემდგომ სტრუქტურულ დაყოფას არ ექვემდებარება. მაშასადამე, სტრუქტურული ფორმა, როგორც უკვე ითქვა, სულ მცირე, ორ სტრუქტურულ დაყოფას მაინც გულისხმობს. იგულისხმება, რომ ეს, ასე ვთქვათ სამკაციანი ჯგუფი სხვა სტრუქტურული ორგანიზაციის განაყოფია, მის ინტერესებში მოქმედეი და მისივე ფუნქციის მატარებელია. ამის გამო საკმაოდ რთულია დანაშაულში თანამონაწილეობის წესით დაკვალიფიცირდეს ორგანიზებული დანაშაული და მისი კონკრეტული ფორმები. ცხადია, ორგანიზებული დანაშაული დანაშაულში თანამონაწილების ტრადიციული ფორმებისგან მოწყვეტით არ არსებობს, მაგრამ არც ამ ტრადიციულ ფორმებზე არ დაიყვანება. [149]

3.3 გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზებულ დანაშაულობაზე

როგორც უკვე არაერთხელ შევნიშნეთ დანაშაულობის არსებობის საერთო მიზეზია როგორც სახელმწიფოებრივი მოუწერიგებლობა და მისგან გამომდინარე შედეგები, ასევე ადამიანია არასრულყოფილება, რაც სოციალურ გარემოებასთან მისი ურთიერთობის შედეგად ყალიბდება და რაც ხელს უწყობს მისი ფსიქიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. კაცობრიობას არ გააჩნია დანაშაულობის უსწრაფესი დაძლევის არავითათი საშუალება და ხერხი. კომუნიზმის იდეა, რომლის რეალიზაციასაც, თითქოსდა შეეძლო დანაშაულიბის მოსპობა, უტოპიური აღმოჩნდა. სოციალისტურ საზოგადოებას თავისი სოციალისტური ეკონომიკის ბაზისიდან გამომდინარე გააჩნდა თავისი საკუთარი დანაშაულობა, ხოლო სხვა ქვეყნებს თავისი საბაზრო ეკონომიკით სულ სხვა დანაშაულობა. სოციალისტურ საზოგადოებაში დანაშაულობის სოციალური მიზეზები იყო : ფაქტობრივი სოციალური უთანასწორობა;[150] ადამიანის ჩამოშორება ხელისუფლებისა და საკუთრებისაგან; დემოკრაიის უქონლობა; საქონლის დეფიციტი და სხვა. ახლა თვალნათლივ ვხედავთ, რომ ისეთი მიზეზების მოცილებამ, როგორიცაა : დეფიციტი, ცენზურა, პიროვნების თავისფლების უზონლობა და ა.შ., დანაშაულობის არათუ შემცირება, არამედ, პირიქით, მისი შესამჩნევი ზრდა გამოიწვია. კერძო საკუთრების დაშვებამ და ეკონომიკურმა თავისუფლებამ, თავის მხრივ, დააჩქარა სოციალურ ფენებად დაყოფის მკვეთრი პროცესი. ასე მაგალითად, კრიმინოლოგიის რუსულ სახელმძღვანელოში ხაზი გაესმის იმ ფაქტს, რომ ახალი რუსების 20%

[148] https://news.rambler.ru/Russia/world/5674764/ (ბოლოს გადამოწმებულია 6/08/21)

[149] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,301

[150] Global Organized crime and International Security / Ed. by E.Viano. Ashgate. Pub. Ltd. 1999, 403

ითვისებს ერთობლივი ფულადი სახსრების 43%, ხოლო ღატაკთა 20%- მხოლოდ 7%. ღატაკისა და მდიდრებს შორის გარღვევამ შეადგინა 1:10-ზე, ცნობილია, რომ თუ გარღვევა აღემატება თანაფარდობას 1:10-ზე მაშინ მსოფლიო სტანდარტების მიხედვით საზოგადოება შედის არასტაბილურობის ზონაში. მოსახლეობის 20%-ს აქვს ფულადი შემოსავლის 42%, ხოლო ყველზე ნაკლებად უზრუნველყოფილაი 20%-ს-7%; მოსახლეობის 30%-ის შემოსავალი სურსათის შესყიდვისათვის შემოსავლის 89-90%.[151]

როგორც ნ. რიმაშევსკაია წერს, 1992 წლის პირველ ნახევარში მოსახლეობის შემოსავალი დაეცა თითქმის 2,5-ჯერ. შემდგომ წლებში პერიოდულად შეიმჩნეოდა მიმდინარე შემოსავალთა რამდენადმე აღდგენა, მაგრამ 1996 წელს მოხდა მოსახლეობის რეალური შემოსავლის ახალი დაცემა 13%-ით, რამაც მოხმარების საგნებზე მოთხოვნილების შემცირება გამოიწვია 40%-ით. [152]მისივიე კლასიფიკაციით, რუსეთში მდიდრები შეადგენენ 3-5%, თვეში სულზე 3 ათას დოლარზე მეტი შემოსავლით, შეძლებულები-15 %, ერთ ადამიანზე 1000-დან 3000 დოლარამდე შემოსავლით; საშუალო ფენა 20%-ს, 100-დან 1000 დოლარამდე თვეში ერთ ადამიანზე; ნაკლებადუზრუნვლყოფილნი -20%, 50-დან 100 დოლარამდე თვეში ერთ ადამიანზე; ღარიბები-40% (50 დოლარზე ნაკლები თვეში ერთ ადამიანზე. ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საშუალო კლასი როგორც საბაზრო ურთიერთობების საფუძველი ფაქტობრივად არ არის. მის ადგილზე, ნ. რიმაშევსკაიას გამოთქმით, გაჩნდა "შავი ხვრელი". საშუალო კლასის არარსებობა და ორი ერთმანეთისაგან დაცილებული რუსეთი, რაც სოციალური დაძაბულობის წყაროა.[153] როგორც ვხედავთ, სიღატაკე სულ უფრო ხდება დანაშაულობის უშუალო მიზეზი, ხოლო სიღარიბე ბუნებრივად ქმნის მისთვის მასაზრდოებელ ნიადაგს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იმ პირებმა, რომლებმაც ვერ შეძლეს ადაპტირება ახალ ეკონომიკურ პირობებში, გამოიწვია მათში არსებობის კრიმინალური ხერხებისადმი განწყობის გავრცელება. [154]

დანაშაულობის ზრდის საერთო მიზეზებს შეიძლება მივაკუთვნოთ ზნეობის დაცემა, ეკონომიკის საერთო კრიზისი და უმუშევრობა. უმუშევრები დანაშაულებრივ გაერთიანებათა შექმნის პოტენციური კადრებია. ორგანიზებული დანაშაულობის მიზეზები, რომლებიც განსხვავდებიან დანაშაულობის საერთო მიზეზებისაგან, პრაქტიკულად არ არსებობს. დანაშაულობის ეს სახეობა ყველა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. დანაშაულობის ამ სახეობაზე ძლიერ კრიმინოგენურ

[151] M. Brock, Miguel De Anda, Rummel Joseph and Calderon Michelle. March 29, 2010, December 2004. The Impact of Transnational Organized Crime A/59/565.
[152] OECD, The economic impact of counterfeiting and piracy, 2007,23
[153] ნ. რიმაშევსკაია, სტატისტიკა და დანაშაული., თბ., 1996,155
[154] იქვე,გვ. 156

გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა : სუსტი სახელმწიფო ხელისუფლება, მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობა, ისტორიულად ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი ტრადიციების არსებობა, მწვავე სოციალური, რელიგიური და ეთნიკური წინააღმდეგობები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადაუწყვეტელი რჩება და სხვა. ორგანიზებული დანაშაულობისათვის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს მოქალაქეთა ვიქტიმურობის გაზრდა. რაც დაკავშირებულია მსხვერპლთა უმრავლესობისათვის ქცევის ჩვევების უქონლობასა და თამაშის წესების დაბალ ცოდნასთან საბაზრო-ურთიერთობების განვითარების პირობებში. ორგანიზებული დანაშაულობის ზრდაზე არსებით გავლენას ახდენს კონტროლის ძლიერი მწყობრი სისტემის უქონლობა. მართალია სოციალიზმის პერიოდში არსებული კონტროლის სისტემა პიროვნების საქმიანობის მისამართით მოიშალა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამინდელი რეჟიმის ადექვატური ჯერ კიდევ არ არის შექმნილი. სამართალდამცავი სისტემა განიცდის კრიზისს, რომელიც განპირობებულია, ერთი მხრივ, საკადრო ბირთვის გარკვეული რღვევით, მეორე მხრივ კი - მოსახლეობის ნდობის შემცირებით. სამართალდამცავი სისტემის ნაკლოვანებები, მათ შორის მისი კორუმპირების მაღალი დონე, იწვევს დაუსჯელობის დონის ზრდასა და ორგანიზებული დანაშაულობის კვლავწარმოებას. [155]

ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორში ორგანიზებული დანაშაულობის ზრდის ხელშემწყობი პირობებია აგრეთვე :

1) ფინანსურად სესტუ ფირმების არსებობა.

2) მეწარმეთა გათიშულობა.

3) სამეწარმეო სექტორში უცხო ფირმების შეღწევის სიადვილე.

4) მეწარმეთა მიდრეკილება კანონების დარღვევისადმი და იოლი მოგების მიღებისადმი.

5) მეწარმეების მხრიდან მაღალი პროფესიული მომზადების უქონლობა.

6) მოცემულ სექტორში დანაშაულებრივი ჯგუფების არსებობა და სხვა.[156] ორგანიზებული დანაშაულობა ასახავს საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურათა გართულებისა და პიროვნების სულ უფრო მეტ ავტონომიზაციას. თანამედროვე აღზრდა და მასობრივი კულტურა ხელს უწყობს წინააღმდეგობათა გაღრმავების სოციალურად მოსაწონ მიზნებსა და ლეგალური ხერხებით მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს შორის (რ. მერტონი.[157] პლანეტაზე ორგანიზებული დანაშაულიბის გავრცელებაში დიდი როლი ეკუთვნის სახელმწიფოთა შორის

[155] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,261

[156] იქვე, გვ. 263

[157] Global Organized crime and International Security / Ed. by E.Viano. Ashgate. Pub. Ltd. 1999,59

ორგანიზებული დანაშაულობის მიზეზების ახსნა იდეათა პლურალიზმის პირობებში გადის ჭეშმარიტების მძიმე გამოცდას. ორგანიზებული დანაშაულობა, როგორც უკვე შევნიშნეთ, ცივილიზაციის პროდუქტია. ძველთაგანვე ცნობილია მისი გამოვლინებები ომებთან, აჯანყებასთან, კლასობრივ, ეროვნულ, რელიგიურ, ეთნიკურ და სხვა., ურთიერთობებთან კავშირი.[158] ორგანიზებული დანაშაულობის განვითარებამ გაიარა მრავალი ქვეყნის ის პრაქტიკული გზა, რომელიც გამოიხატა : სახელმწიფოს ბიუროკრატიული სტრუქტურების დაშლაში, სოციალური სამართლიანობის პრინციოპების რღვევაში, ზნეობრივ ფასეულობათა დევალვაციაში, უგადასახადო ჩრდილოვანი ეკონომიკის პრიმიტიული მდგომარეობიდან გამოსვლის გზების ძებნისა და სხვა. საერთოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ მაფიის სამშობლო-იტალია, მივიდა ორგანიზებულ დანაშაულობამდე გარკვეული ტრადიციების არსებობის შედეგად და ეს ტრადიციები ყველაზე მეტად ფესვგადგმული იყო სიცილიაში.[159] აშშ-ში იტალიის მაფიის ექსპორტს ხელი შეუწყო "მშრალი" კანონის შემოღებამ. ლათინული ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მაფია გააჩინა ნარკოტიკებმა. ამრიგად, ეკონომიკურ ფაქტორად, რომელიც დეტერმინირებს ორგანიზებულ ანგარებით დანაშაულებში, გვევლინება იმ სახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აკრძალვა, რომლებიც ითვლება მავნედ, საყოველთაოდ საშიშად ან უზნეობად.[160] ამ ბოლო კატეგორიას, მიეკუთვნება, მაგალითად, სქესობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ანაზღაურებით; აკრძალული თამაშები; იარაღით, შხამით ვაჭრობა და სხვა, საერთოდ, ეკონომიკური მიმართულების ორგანიზებულ დანაშაულობას საფუძვლად უდევს მატერიალური ინტერესი, იოლი და დიდი მოგების სურვილი. აქედან გამომდინარე გამართლებულიცაა ამის საწინააღმდეგო გზების მოძებნდა. ასე მაგალითად, ბევრ ქვეყანაში შემოღებულია მართლსაწინააღმდეგო გზით ნაშოვნი სახსრების კონფისკაცია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით; ასევე გათვალისწინებულია ვალდებულება აცნობონ საფინანსო ორგანოებს საეჭვო საფინანსო ოპერაციების შესახებ, რაც წარმოადგენს კომერციული საიდუმლობების გარკვეულ შეზღუდვას.[161] აქვე უნდა გავიმეოროთ ისიც, რომ ეკონომიკურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის შესუსტებამ შეუძლია შეაფერხოს საბაზრო ეკონომიკისაკენ სვლა და სერიოზული გავლენა მოახდინოს დემოკრატიულ პროცესებზე. მით უფრო ამის რეალური საფუძველი ჩვენში არსებობს, იგულისხმება ჭეშმარიტი დემოკრატიის

[158] D.J. Kenney, Finckenauer J.O. 1995. Organized Crime in America. Wadsworth Pub. Com,301

[159] Уголовная юстиция: Проблемы международного сотрудничества. Международный научно-исследовательский проект. М., 1994. С. 236

[160] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,266

[161] იქვე, გვ.269

არარსებობა და ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები. ორგანიზებული დანაშაულობის უპრეცედენტო მასშტაბებს კი ადვილად შეუძლიათ დაასამარონ ნორჩი საბაზრო ურთიერთობები და ყველა დემოკრატიული მონაპოვარი. დასასრულს, შევნიშნავ იმასაც, რომ XX საუკუნის დამლევს ფართო მასშტაბით გამოვლენა იწყო პოლიტიკურმა ორგანიზებულმა დანაშაულობამ ტერორიზმის ფორმით.[162] ტერორიზმის ძირითადი მიზეზი ეროვნულ, რელიგიურ და სოციალურ წინააღმდეგობებშია, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ წყდება მოლაპარაკებების, კომპრომისებისა და კონსენსუნსების საფუძველზე. ამრიგად, ტერორიზმის მიზეზებისა და წინააღმდეგობების აღმოფხვრა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეკონომიკური მიმართულების ორგანიზებული დანაშაულიბის ფესვების შერყევა. ამის მაგალითია ტერორიზმის გამოვლინება დიდ ბრიტანეთში, ავღანეთში, ინდოეთში, ესპანეთში, ისრაელში, რუსეთში, კოლუმბიაში, პერუში, ლაოსში, კამბოჯაში, ბირმაში და ა. შ. უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზებული დანაშაულობის შეზრდის ტენდენცია, მაგალითად ლაოსი, კოლუმბია, პერუ და სხვა, რომლებიც ადრე ფუნქციონირებდნენ დამოუკიდებლად ერთმანეთისგან. [163]

[162] The United Nations and Transnational Organized Crime / Ed. by P.Williams and E. Savona. Portland. Oregon. 1996,53
[163] ლობჟანიძე გ., საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა,ქუთაისი,2002,187

თავი V. კვლევის შედეგები

კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივედით შედეგებამდე. დასაწყისში სწორედ ამ გამოყენებულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ. შემდეგი თავი ეხება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წარმოშობის ისტორიას, შემდეგ კი განხილულია მისი განვითარების საფეხურები.

მომდევნო თავში განხილულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა ქართულ კანონმდებლობაში, სადაც ვხედავთ, რამდენად სწორად არის გაგებული ცნების მნიშვნელობა და რამდენად სწორად არის ჩამოყალიბებული ის ქართულ კანონმდებლობაში. აქვე მოგვყავს მაგალითად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, ასევე სხვადასხვა ქვეყნების სასამართლოების პრაქტიკა და ანალოგები.

შედარებითი ანალიზის მეთოდით განვიხილავთ მომდევნო თავსა და მის ქვეთავებს, სადაც მოცემულია საერთაშორისო კანონმდებლობა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ხელშემწყობი მიზეზები, ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, ასევე ამერიკის შეერთებული შტატები და მისი კანონმდებლობა, რომელთა შედარებით ქართულ კანონმდებლობასთან დავინახეთ მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები.

როგორც მოცემულ თავებში ვნახეთ, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა 21–ე საუკუნის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და აუცილებელია მასთან ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე, სხვადასხვა ქვეყნების ხელშწყობით. საკითხის ამდაგვარად ჩამოყალიბება პრობლემას ქმნის პრაქტიკაში და ხშირად იწვევს გაურკვევლობას თუ როგორ ვებრძოლოთ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას, როგორ აღმოვფხვრათ ორგანიზებული დანაშაული, რათა მან არ მიიღოს ტრანსნაციონალური ხასიათი. ამასთან დაკავშირებით, რეკომენდაციები წარმოვაჩინე ნაშრომის დასკვნით ნაწილში.

დასკვნა

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მასთან ბრძოლა მართალია საქართველომ გვიან დაიწყო, მაგრამ მთელი მსოფლიო მას დიდი ხანია ებრძვის. მსოფლიო განვითარებასთან ერთად დანაშაულების რიცხვიც იმატებს. ცხადია მსოფლიოს მასშტაბები იცვლება, ადამიანები უდიდეს ნაბიჯებს დგამენ მეცნიერებაში, ისეთს რომ ამის მოფიქრება რამდენიმე წლის წინ შეუძლებელი მოგვეჩვენებოდა. ასეა მსოფლიოს განვითარებამ გაზარდა დანაშაულის რიცხვი. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშული უკვე ერთი სახელმწიფოს ბრძოლა და პრობლემა როდია. ეს მთელი მსოფლიოს პრობლემაა. დანაშაულებრივი ჯგუფები ერთმანეთთან იოლად ახდენენ კომუნიკაციას, საზღვრების და შეზღუდვების მიუხედავად. ეს კომუნიკაცია მათ საშუალებას აძლევს უფრო გაძლიერდნენ, სხვადასხვა სახელმწიფოებში მეტი მიმდევრები იპოვონ და ახალ ახალი პირებით გაამდიდრონ თავიანთი დამნაშავეთა რიგები და ჯგუფები.[164] ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშულის ძირითადი მიზანი წარმოადგენს არალეგალურ შემოსავლის მიღებას და ადრე მათ ჰქონდათ პოლიტიკური მიზნები. ხელისუფლების გავლენაც სურდათ ხელში ჩაეგდოთ. ორგანიზებული დანაშაულობა დღითიდღე ტრანსნაციონალურ დანაშაულის სახეს იღებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი ერთ სახელმწიფოში არ ჩადიან დანაშაულს. ამ დანაშაულებათა სიმრავლე არის უკანონო ცხადია და ეს შეიძლება იყოს იარაღით, ნარკოტიკებით ვაჭრობა რომელზეც მოცემულ ნაშრომში ამომწურავად არის ნაჩვენები თავისი სტატისტიკით. ასევე ტრეფიკინგი და ა.შ. ამ დანაშაულებრივ ჯგუფებს სურთ უკანონოდ მიიღონ დიდი შემოსავალი.[165] ყველა ჯგუფს განსხვავებული მეთოდები აქვს დანაშაულის ჩადენის. ისინი წინასწარ კარგად შეისწავლიან სახელმწიფოს, თავდაპირველად სამართალ დამცველებისყურადღების ქვეშ არ ექცევიან, ამ დროს სწავლობენ მთლიანად სახელმწიფოს, ამის შემდგომ ისინი ახდენენ ყველაფრის კარგად, სტრატეგიულად, შეუმჩნევლად ორგანიზებას და შემდეგ სჩადიან დანაშაულს. თუ სახელმწიფოს სათავეში არსებობს კორუმპირებული პირები მაშინ ამ ჯგუფებს ხელ ფეხი შეხსნილი აქვთ. არსებობს ორგანიზებულ დანაშაულთა ისეთი ჯგუფები, რომლებიც თანამდებობრივი პირების მოსყიდვას ახერხებენ, სცდებიან საზღვრებს და ამის შემდგომ არალეგალურ შემოსავალს ორივე მხარე ღებულობს.[166]

---

[164] The United Nations and Transnational Organized Crime / Ed. by P.Williams and E. Savona. Portland. Oregon. 1996,49

[165] Ю.А. Воронин, Транснациональная организованная преступность,1997,Екатеринбург,345

[166] გ. ნაჭყებია და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012,257

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად რთულია. როგორც მოცემულ ნაშრომში არის განსაზღვრული ამისთვის საჭიროა სამართალდამცავი პირების მაღალი კვალიფიციურობა, ადამიანთა ზნეობის ამაღლება და სახელმწიფოს მიერ ისეთი კანონპროექტების გატარება, რომელიც მოქნილი და ეფექტური იქნება. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს ჯერჯერობით საქართველოში მასობრივი ხასიათი არ აქვს, ამიტომ კარგია თუ სახელმწიფო მას ამ დანაშაულის ჩანასახშივე გაანადგურებს რათა არ მოხდეს მისი გავრცელება და ახალგაზრდა პირთა ჩართვა. სახელმწიფომ უნდა გაითავისოს, რომ საზოგადოების ინფორმირების გარეშე ვერაფერს გახდებიან.[167] ყველამ იცის, მხოლოდ კარგად დაწერილი კანონი არაფერის მომცემია თუ ამ კანონით არ მოხერხდა იმ პრობლემის გადაწყვეტა რის გამოც შეიქმნა. მაქსიმალურად უნდა მოხდეს იმ რეკომენდაციების შესრულება რასაც იძლევიან. მოცემულ ნაშრომში კარგად არის გადმოცემული, თუ რას წარმოადგენს პირის პიროვნული ჩამოყალიბება. აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს იმ პირებზე, რომლებიც სამომავლოდ თავად ამ სახელმწიფოს მმართველები შეიძლება გახდნენ. უნდა გამოსწორდეს ის ფონი რაც დღეს არის.[168] არასრულწლოვნებთან მიღწეული შედეგით არ უნდა დაკმაყოფილდეს და მაქსიმალურად ეცადოს ყველაფერი იდეალურ დონემდე აიყვანოს. ყველაზე მეტად კი უნდა ებრძოლოს ქვეყანაში კრიმინალს. არ უნდა დაუშვას კრიმინალური სამყაროს დაბრუნება საქართველოში. არის შემთხვევები როდესაც არასრულწლოვნებს გარკვეული ფენები უბიძგებენ დანაშაულში ჩართვას სწორედ ამის მიხედვითაც უნდა იმუშაონ და მკაცრად დაისაჯონ ის პირები. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მსოფლიო განვითარებასთან ერთად შეიძლება რამდენიმეჯერ იცვალოს, განვითარდეს, გაძლიერდეს, ძალები მოიკრიბოს, გავლენა გაზარდოს. გამოყენებულ იქნეს იმ მექანიზმების დახვეწა, რომელიც შეუქმნის ადამიანს და საზოგადოებას იმის წარმოდგენას, რომ ეს არა მარტო სახელმწიფოსთვის არამედ თავად ამ საზოგადოებისთვისაც საშიშია. საზოგადოებრივი უნდობლობა, რომ არ დაბრუნდეს სამართალდამცავი ორგანების მიმართ უნდა გატარდეს ხშირი და რაც ყველაზე მთავარია მასობრივი გადამზადებები, რათა არ მოხდეს კონკრეტული პირების მიერ კორუფციის მაგალითები.[169] საზოგადოებამ და სამართალდამცავმა ორგანებმა ერთად უნდა ებრძოლონ ტრანსნაციონალური ორგანიზებულ დანაშულობას და თუ საზოგადოებას ისევ ის გრძნობა გაუჩნდება, რომ სამართალდამცველი ისევ კორუმპირებულია ამით ყველაფერი დასრულდება,

---

[167] ი. ლაგვილავა, თანამედროვე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის კვლევის საკითხები,2018,7

[168] იქვე, გვ.8

[169] ნ. კირთაძე, ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებები,თბ.,2019,65

მხოლოდ სახელმწიფო ამ დანაშაულთან ვერაფერს გახდება ადამიანების გარეშე. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშულობასთან ბრძოლის ფარგლებში უნდა მოხდეს უფრო მეტად საერთაშორისო გასვლები. სამართალდამცავი ორგანოები უნდა გადიოდნენ მეზობელ ქვეყნებში გადამზადებებს,რათა აითვისონ ის რეკომენდაციები რასაც იძლევიან. სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის გარეშე არაფერი მოგვარდება, რადგან ვიცით რომ ეს კონკრეტული დანაშული ერთი ქვეყნისთვის არ წარმოადგენს საფრთეს, ეს ყველასთვის საფრთხის მომცემი დანაშულია.[170]დღეს შეიძლებარომელიმე ქვეყანა ფიქრობდეს რომ მათ არაფერი ემუქრებათ, მაგრამ შეიძლება ხვალ მათთან მოხდეს იგივე რაც მის მეზობელ ქვეყანაში. ამიტომ აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა. არასრულწლოვნებმა უნდა გაითავისონ, რომ ქურდულ სამყაროსთან წევრობა ღუპავს მათ და არა მარტო მათ, ამით იღუპება სახელმწიფოც. უნდა მოხდეს არასრულწლოვნებთან ხშირი კომუნიკაცია, ქუჩებში, სკოლებში ეზოში რათა თავიდან აცილებულ იქნას მათი დანაშაულებრივ სამყაროში მოხვედრა. მოსახლეობას ხშირად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შედეგები დააფიქსირა სამართალდამცავმა უწყებებმა დანაშულთან ბრძოლისას და აცნობონ ხალხს თუ რამხელა დახმარება გაუწიეს ხალხმა სამართალდამცავებს. ძალიან კარგი წამოწყებები აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც მოცემულია ნაშრომში მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრი რამ დარჩა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ყველამ ყველაფერი უნდა გაიღოს ამ დანაშაულებრივი სამყაროს წინააღმდეგ.[171] ორგანიზებული დანაშაულობა სულ ცდილობს, რომ სხვადასხვა სახე მიიღოს რათა ამით თავგზა აუბნიოს, როგორც სამართალ დამცავებს ასევე საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც იოლად სჯერათ ყველაფრის.[172] ამიტომ ამის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი უნდა გაკეთდეს უნდა იცვლებოდეს საკანონმდებლო ბაზა ხშირად და რაც ყველაზე მთავარია მიზანშეწონილად. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ვფიქრობ შესაძლებელია ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშულობასთან ბრძოლა.[173]

---

[170] გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა,ქუთაისი,2002, 298
[171] ნ. კირთაძე,ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებები,თბ.,2019,71
[172] იქვე, გვ. 72
[173]იქვე,გვ.73

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. ბაძაღუა მ., ჯგუფური დანაშაულობა, თბ., 1998
2. გამყრელიძე ო., სისხლისსამართლერივი უმართლიბის პრობლემა და თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი,თბ., 1989.
3. გამყრელიძე ო., შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბ., 1998.
4. გოძიაშვილი ი., კრიმილოგოია, თბ., 1998
5. ნაჭყებია გ. და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფასების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012
6. კირთაძე ნ.,ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებები,თბ.,2019.
7. კუდრიავცევი ვ., კრიმინოლოგია, იურისტი, 1995,100
8. ლაგვილავა ი., თანამედროვე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის კვლევის საკითხები,2018
9. ლობჟანიძე გ., საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა,ქუთაისი,2002.
10. ნაჭყებია გ., ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001.
11. რიმაშევსკაია ნ., სტატისტიკა და დანაშაული., თბ., 1996.
12. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია,თბ., 2010
13. წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965;
14. წერეთელი თ., კრიმინოლოგია,თბ., 2005
15. წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძ ნაწილი, თბ.,2005

უცხოური ლიტერატურა:

16. Baurman M., Aligemeiner Teil,1995
17. Brock Mark, Miguel De Anda, Rummel Joseph and Calderon Michelle. March 29, 2010; December 2004. The Impact of Transnational Organized Crime A/59/565
18. Busch r., Moderne Wandlungen der Verbrechenslehre, Tubingen, 1949

19. Edwards A. and Gill P. 2003. Transnational Organized Crime; Perspectives on Global Security. London: Routledge
20. Gais Iohan Shnaider, criminology, 1994
21. Global Mafia Special Report. Newsweek. Washington, 1995
22. Global Organized crime and International Security / Ed. by E.Viano. Ashgate. Pub. Ltd. 1999 Organisierte Kriminalitat in Europa / M. Edelbacher. Wien: Linde. 1998.
23. Godson R., Olson W. International Criminal Organization. Organized Crime: Contemporary Issues.
24. Fletcher J., Simple examples of nowadays criminal law,2018.
25. Kenney D.J. Finckenauer J.O. 1995. Organized Crime in America. Wadsworth Pub. Com.
26. Kenney D.J. Finckenauer J.O. 1995. Organized Crime in America. Wadsworth Pub. Com.
27. Koechane R. Nye J. – Transnational Relation and World Politics. Cambridge Massachusetts, Harvard
28. Комиссаров В.-Обсуждение проблемы борьбы с преступностью государство и право 1993.
29. OECD, The economic impact of counterfeiting and piracy, 2007.
30. Organisierte Kriminalitat in Europa / M. Edelbacher. Wien: Linde. 1998.
31. Richards J. R. 1999. Transnational Criminal organization, Cybercrime, and Money Laundering. CRC Press LLC.
32. Shelley L. The Thereat to the World Order/ Organized Crime contemporary isues San Diego 1999
33. The United Nations and Transnational Organized Crime / Ed. by P.Williams and E. Savona. Portland. Oregon. 1996
34. Воронин Ю.А. 1997. Транснациональная организованная преступность. Екатеринбург.
35. Гуров А., профессиональная преступность: прошлое и современность. М., 1990
36. Жаленский А., Современное немецкое уголовное право, М., 2004
37. Зорин Г. А., Танкевич О. В. 1997. Понятие транснациональной преступности. Гродно
38. Краткий психологический словарь, 1985,
39. курс росиского уголовного права, общая часть, М., 2001.,
40. Лунеев В. Преступнонсть XX Века Мировой криминологический анализ М., 1999
41. Овчинский В., стратегия борби с мафией,1993.,
42. преступность и провонарушение, статистический сборник, М., 1995,
43. Разинский В., Организованная преступность в период реформ в России, М., 1996
44. ТАГАНЦЕВ Н., русское уголовное право, общая часть, т.1., 2001.,
45. Угаловное право зарубежник государство, общая часть, М., 2001,
46. Уголовная юстиция: Проблемы международного сотрудничества. Международный научно-исследовательский проект. М., 1994.

47. Уголовный кодекс Российской Федерации.2020
48. Устинов В.,Понимание и криминологическая характеристика Организованной преступности. Новгород,1993.
49. Хорнабужели Б., Психологическая сторона вина, тб., 1981

სასამართლო პრაქტიკა:

50. გაეროს გენერალური მდივნის ჩანაწერი, 2 დეკემბერი, 2004A/59/56.
51. პრობლემები და საშიშროება, რომელთაც ქმნის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. მინისტრების დონეზე ჩატარებული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენციის ცნობარი. ნეაპოლი, 21-23 ნოემბერი. 1994. E/CONF. 88/2. 1994. 18 Aug.

ნორმატიული აქტები:

52. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
53. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,2021
54. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2021;
55. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ : გ. ნაჭყებია, ი. დვალიშვილი, თბ., 2007

ვებ. გვერდები:

56. http://rus.ruvr.ru
57. http://www.supremecourt.ge;
58. http://www.unicri.it
59. https://achijavaxa.wixsite.com
60. https://ezekielecortez.com
61. https://matsne.gov.ge;

62. https://news.rambler.ru
63. https://ppt.ru/
64. https://tsulearn.files.wordpress.com
65. www.unodc.org